

ევროპის მდგრადობის ანგარიშგების სტანდარტების (ESRS) ტერმინების გლოსარი

ქვემოთ წარმოდგენილია ტერმინები და მათი განმარტებები, რომლებიც გამოყენებულ უნდა იქნეს მდგრადობის ანგარიშგების მომზადებისას ევროპის მდგრადობის ანგარიშგების სტანდარტების შესაბამისად.

ტერმინები	განმარტება
<p>Actions</p> <p>ქმედებები</p>	<p><i>ქმედებები</i> აღნიშნავს:</p> <p>i. <i>ქმედებებს</i> და სამოქმედო გეგმებს (მათ შორის <i>გარდამავალ გეგმებს</i>), რომლებსაც საწარმო ახორციელებს დასახული <i>სამიზნე მაჩვენებლების</i> მისაღწევად და რომლის საშუალებითაც ცდილობს, იმოქმედოს არსებითი <i>ზემოქმედების, რისკებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით</i>; და</p> <p>ii. გადაწყვეტილებებს, რომლებიც ეხება ფინანსური, ადამიანური და ტექნოლოგიური რესურსებით ამ ქმედებებისა და გეგმების უზრუნველყოფას.</p>
<p>Actor in the value chain</p> <p>ღირებულებათა ჯაჭვის მონაწილე</p>	<p>ფიზიკური და იურიდიული პირები აღმავალ და დაღმავალ <i>ღირებულებათა ჯაჭვში</i>. ფიზიკური ან იურიდიული პირი იმ შემთხვევაში მიიჩნევა საწარმოს დაღმავალი ჯაჭვის <i>მონაწილედ</i> (მაგ., დისტრიბუტორები, მომხმარებლები), როდესაც იგი საწარმოსგან იღებს პროდუქტს ან მომსახურებას. ფიზიკური ან იურიდიული პირი იმ შემთხვევაში მიიჩნევა საწარმოს აღმავალი ჯაჭვის <i>მონაწილედ</i> (მაგ., მომწოდებლები), როდესაც ის საწარმოს აწვდის ისეთ პროდუქტს ან მომსახურებას, რომელსაც საწარმო იყენებს საკუთარი პროდუქტის ან მომსახურების შექმნისას.</p>
<p>Adequate wage</p> <p>სათანადო ხელფასი</p>	<p><i>ხელფასი</i>, რომელიც ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური პირობების გათვალისწინებით აკმაყოფილებს მომუშავისა და მისი ოჯახის საჭიროებებს.</p>
<p>Administrative, management and supervisory bodies</p> <p>ადმინისტრაციული, მმართველი და საზედამხედველო ორგანოები</p>	<p>საწარმოში გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილების მქონე უმაღლესი მმართველი ორგანოები, მათი კომიტეტების ჩათვლით. თუ საწარმოს მმართველობით სტრუქტურაში არ არიან <i>ადმინისტრაციული, მმართველი ან საზედამხედველო ორგანოების</i> წევრები, მასში უნდა მოიაზრობოდეს აღმასრულებელი დირექტორი და აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე (თუ საწარმოში ასეთი თანამდებობა არსებობს). ზოგიერთ იურისდიქციაში მმართველობის სისტემები ორი დონისგან შედგება, სადაც საზედამხედველო და მმართველი ორგანოები განცალკევებით არის წარმოდგენილი. ასეთ შემთხვევაში, ტერმინის „<i>ადმინისტრაციული, მმართველი და საზედამხედველო ორგანოები</i>“ განმარტება ორივე დონეს მოიცავს.</p>
<p>Affected Communities</p> <p>ზემოქმედების ქვეშ მყოფი საზოგადოებრივი ჯგუფები</p>	<p>ადამიანები ან ადამიანთა ჯგუფები, რომლებიც ცხოვრობენ ან მუშაობენ იმ ტერიტორიაზე, რომელიც ანგარიშვალდებული საწარმოს საქმიანობის გამო ან მისი აღმავალი ან დაღმავალი <i>ღირებულებათა ჯაჭვის</i> მეშვეობით იმყოფება ან შეიძლება მომავალში აღმოჩნდეს გარკვეული ზემოქმედების ქვეშ. <i>ზემოქმედების ქვეშ მყოფი საზოგადოებრივი ჯგუფები</i> შეიძლება ცხოვრობდნენ როგორც საწარმოს საქმიანობის განხორციელების ტერიტორიის მახლობლად (ადგილობრივი საზოგადოებრივი ჯგუფები), ისე მისგან მოშორებით. <i>ზემოქმედების ქვეშ მყოფი საზოგადოებრივი ჯგუფები</i> მოიცავს <i>მკვიდრ მოსახლეობას</i>, რომელზეც ზემოქმედება ხორციელდება ან შეიძლება განხორციელდეს.</p>
<p>Annual total remuneration</p> <p>მთლიანი წლიური ანაზღაურება</p>	<p><i>საკუთარი სამუშაო ძალის მთლიანი წლიური ანაზღაურება</i> მოიცავს სარგოს, პრემიას, აქციებით გაცემულ ანაზღაურებას, გადაცემულ აქციის ოფციონებს, სხვა ტიპის წამახალისებელი პროგრამის კომპენსაციას, რომელიც დაკავშირებული არ არის აქციებთან, პენსიის ოდენობის ცვლილებას და არაოფიციალურად გადავადებულ კომპენსაციას, რომელიც გაიცა მოცემულ წელს.</p>

<p>Anticipated financial effects</p> <p>მოსალოდნელი ფინანსური შედეგები</p>	<p><i>ფინანსური შედეგები</i>, რომლებიც არ აკმაყოფილებს აღიარების კრიტერიუმებს, რათა ჩაირთოს საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური ანგარიშგების მუხლებში და ამიტომ ასახული არ არის <i>მიმდინარე პერიოდის ფინანსურ შედეგებში</i>.</p>
<p>Area at water risk</p> <p>წყლის რესურსებთან დაკავშირებული რისკის ქვეშ მყოფი ტერიტორია</p>	<p>წყალშემკრები, სადაც წყალთან დაკავშირებული რამდენიმე ფიზიკური ასპექტი:</p> <p>i. განაპირობებს წყლის ერთი ან მეტი ობიექტის არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობას ან/და მდგომარეობის გაუარესებას (როგორც ეს განსაზღვრულია ევროპარლამენტისა და საბჭოს 2000/60/EC დირექტივით¹), რაც მიუთითებს წყლის რესურსების ხელმისაწვდომობასთან, ხარისხსა და რაოდენობასთან (მათ შორის წყალზე მაღალ მოთხოვნასთან) დაკავშირებულ მნიშვნელოვან პრობლემებზე; ან/და</p> <p>ii. წარმოშობს პრობლემებს, რომლებიც ეხება წყლის რესურსებზე წვდომას, რეგულირების ან რეპუტაციის საკითხებს (მათ შორის, საზოგადოებრივ ჯგუფებთან ერთად წყლის გამოყენებას და წყლის ხელმისაწვდომობას) როგორც თავად საწარმოს, ისე მისი ძირითადი მომწოდებლ(ებ)ის ობიექტებისთვის.</p>
<p>Area of high-water stress</p> <p>წყალზე მაღალი მოთხოვნის მქონე ტერიტორია</p>	<p>რეგიონები, სადაც მსოფლიო რესურსების ინსტიტუტის (WRI) „აკვედუკის წყლის რისკის ატლასის“ მონაცემების მიხედვით, წყალაღების მთლიანი პროცენტული მაჩვენებელი მაღალი (40-80%) ან უკიდურესად მაღალია (80%-ზე მეტი). იხილეთ აგრეთვე <i>წყლის დეფიციტი</i>.</p>
<p>Associated process materials</p> <p>წარმოების პროცესთან დაკავშირებული მასალები</p>	<p>მასალები, რომლებიც საჭიროა წარმოების პროცესისთვის, მაგრამ არ არის საბოლოო პროდუქტის ნაწილი, როგორცაა, მაგალითად საპოხი მასალები საწარმოს დანადგარებისთვის.</p>
<p>Best Available Techniques (BAT) conclusions</p> <p>დასკვნები საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკის შესახებ</p>	<p><i>დოკუმენტი, რომელიც მოიცავს საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკის</i> სახელმძღვანელოს იმ ნაწილებს, სადაც მოცემულია დასკვნები <i>საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკის</i> შესახებ, მათი აღწერილობა, გამოყენების შესაძლებლობის შესაფასებლად საჭირო ინფორმაცია, <i>საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკის</i> შესაბამისი <i>ემისიების</i> დონეები, <i>საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკასთან</i> დაკავშირებული გარემოსდაცვითი საქმიანობის მაჩვენებლების დონე, გარემოსდაცვითი საქმიანობის მართვის სისტემის მინიმალური შინაარსი, მათ შორის, <i>საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკასთან</i> დაკავშირებული საკონტროლო მაჩვენებლები, მონიტორინგი, მოხმარების დონეები და, საჭიროების შემთხვევაში, <i>საქმიანობის განხორციელების ადგილის რემედიაციის</i> ღონისძიებები².</p>
<p>Best Available Technique-Associated Emission Level (BAT-AEL)</p> <p>საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკის შესაბამისი ემისიის დონე</p>	<p><i>ემისიების</i> დონეების დიაპაზონი, რომელიც მიღებულია რომელიმე <i>საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკის</i> ან რამდენიმე მათგანის ნორმალურ საექსპლუატაციო პირობებში ერთობლივი გამოყენების შედეგად (როგორც ეს აღწერილია <i>საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკის შესახებ დასკვნებში</i>) და გამოსახულია დროის გარკვეული პერიოდის საშუალო მაჩვენებლის სახით, მითითებულ სტანდარტულ პირობებში, ე.ი. <i>საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკასთან</i> დაკავშირებული <i>ემისიის</i> დონე.</p>

1. ევროპარლამენტისა და საბჭოს 2000 წლის 23 ოქტომბრის დირექტივა 2000/60/EC (წყლის ჩარჩო დირექტივა) - Directive 2000/60/EC of the European Parliament and of the Council of 23 October 2000 establishing a framework for Community action in the field of water policy (OJ L 327, 22.12.2000, p. 1).
2. დირექტივა 2010/75/EU - Directive 2010/75/EU on industrial emissions (IED). 2010 წლის 24 ნოემბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2010/75/EU დირექტივა „სამრეწველო ემისიების შესახებ“.

<p>Best Available Technique-Associated Environmental Performance Level (BAT-AEPL) საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკის გამოყენებასთან დაკავშირებული გარემოსდაცვითი საქმიანობის მაჩვენებლების დონე</p>	<p>გარემოსდაცვითი საქმიანობის მაჩვენებლების მიღწეული დონეების დიაპაზონი, ემისიების დონეების გარდა, რომლებიც მიღებულია რომელიმე <i>საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკის</i> ან რამდენიმე მათგანის ნორმალურ საექსპლუატაციო პირობებში ერთობლივი გამოყენების შედეგად³.</p>
<p>Best Available Techniques (BAT) საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკა⁴</p>	<p>საქმიანობის სახეებისა და მათი განხორციელების მეთოდების განვითარების ყველაზე ეფექტიანი და მოწინავე ეტაპი, რომელიც <i>ემისიების</i> ზღვრული მნიშვნელობებისა და გარემოსდაცვითი ინტეგრირებული ნებართვის სხვა ისეთი პირობების დადგენის საშუალებას იძლევა, რომლებიც მიმართულია <i>ემისიებისა</i> და ზოგადად გარემოზე ზემოქმედების პრევენციისკენ, ხოლო სადაც ეს პრაქტიკულად შეუძლებელია – მათი შემცირებისკენ:</p> <ul style="list-style-type: none"> i. „ტექნიკა“ – გამოყენებული ტექნოლოგია, ასევე <i>ტექნიკური მოწყობილობის</i> დაპროექტების, მშენებლობის, ტექნოლოგიური, ექსპლუატაციისა და ექსპლუატაციიდან ამოღების მეთოდები; ii. „ხელმისაწვდომი ტექნიკა“ – ტექნიკა, რომლის განვითარების დონე მისი გამოყენების საშუალებას იძლევა შესაბამის სამრეწველო სექტორში, ეკონომიკურად და ტექნიკურად განხორციელებად პირობებში, ხარჯთეფექტიანობის გათვალისწინებით, მიუხედავად იმისა, აღნიშნული ტექნიკის გამოყენება ან შემუშავება ხორციელდება თუ არა მოცემულ კონკრეტულ წევრ სახელმწიფოში, იმ პირობით, რომ საქმიანობის განმახორციელებლისთვის ეს ტექნიკა, გონივრულობის ფარგლებში, ხელმისაწვდომია; iii. „საუკეთესო“ – გარემოს დაცვის თვალსაზრისით ყველაზე ეფექტიანი.
<p>Biodiversity loss ბიომრავალფეროვნების კარგვა</p>	<p><i>ბიოლოგიური მრავალფეროვნების</i> (ე.ი. მრავალფეროვნება გენეტიკის, სახეობების და <i>ეკოსისტემის</i> დონეებზე) ნებისმიერი ასპექტის შემცირება კონკრეტულ ტერიტორიაზე სიკვდილის (მათ შორის, გადაშენების), განადგურების ან ადამიანის ჩარევით განხორციელებული ფიზიკური ზემოქმედების შედეგად მოშორების გზით. ამ ცნებაში შეიძლება მოიაზრებოდეს სხვადასხვა მასშტაბი - გლობალური გადაშენებიდან პოპულაციის გადაშენებამდე, რაც იწვევს ამავე მასშტაბით საერთო მრავალფეროვნების შემცირებას.</p>
<p>Biodiversity or biological diversity ბიომრავალფეროვნება ან ბიოლოგიური მრავალფეროვნება</p>	<p><i>ნებისმიერ ეკოსისტემაში</i>, მათ შორის, ხმელეთის, ზღვისა და სხვა ტიპის წყლის <i>ეკოსისტემასა</i> და ეკოლოგიურ კომპლექსში მოზინადრე ცოცხალი ორგანიზმების ნაირსახეობა, რაც მოიცავს გენეტიკურ, ფენოტიპურ, ფილოგენეტიკურ და ფუნქციურ ნიშან-თვისებებში განსხვავებას, ასევე ცვლილებებს სიმრავლისა და დროსა და სივრცეში განაწილების თვალსაზრისით, სახეობების, ბიოლოგიური თანასახოგადობებისა და <i>ეკოსისტემების</i> ფარგლებში და მათ შორის.</p>

3. კომისიის 2012 წლის 10 თებერვლის განმახორციელებელი გადაწყვეტილება - Commission Implementing Decision of 10 February 2012 laying down rules concerning guidance on the collection of data and on the drawing up of BAT reference documents and on their quality assurance referred to in Directive 2010/75/EU of the European Parliament and of the Council on industrial emissions (OJ L 63, 2.3.2012, p. 1).

4. 2010/75/EU დირექტივის მე-3 მუხლის მე-10 პუნქტი - Directive 2010/75/EU on industrial emissions (IED).

<p>Biodiversity sensitive area</p> <p>ბიომრავალფეროვნების მხრივ მგრძობიარე ტერიტორია</p>	<p>ნატურა 2000-ის <i>დაცული ტერიტორიების</i> ქსელი, იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლები და <i>ბიომრავალფეროვნების მხრივ მნიშვნელოვანი ტერიტორიები</i> (KBA), ასევე სხვა <i>დაცული ტერიტორიები</i>, როგორც ეს მითითებულია ევროკომისიის დელეგირებული რეგულაციის (Commission Delegated Regulation (EU) 2021/2139)⁵ მე-2 დანართის „დ“ დამატებაში.</p>
<p>Biosphere integrity or ecological integrity</p> <p>ბიოსფეროს მთლიანობა ან ეკოლოგიური მთლიანობა</p>	<p><i>ეკოსისტემის</i> უნარი, უზრუნველყოს და შეინარჩუნოს ეკოლოგიური პროცესები და ორგანიზმთა მრავალფეროვანი თანასაზოგადოება.</p>
<p>Blue economy</p> <p>ლურჯი ეკონომიკა</p>	<p><i>ლურჯი ეკონომიკა</i> მოიცავს ოკეანეებთან, ზღვებსა და სანაპიროებთან დაკავშირებულ ყველა დარგსა და სექტორს, იქნება ეს საზღვაო გარემოში (მაგ., საზღვაო ნავიგაცია, თევზის რეწვა, ენერჯის გამომუშავება) თუ ხმელეთზე (მაგ., პორტები, გემთსაშენი, ხმელეთზე განთავსებული აკვაკულტურა და წყალმცენარეების წარმოება, სანაპირო ტურიზმი).</p>
<p>BREF or EU Best Available Techniques reference documents</p> <p>ევროკავშირის საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკის სახელმძღვანელო დოკუმენტები</p>	<p>განსაზღვრული საქმიანობისთვის სამრეწველო <i>ემისიების</i> შესახებ ევროპარლამენტისა და საბჭოს 2010/75/EU დირექტივის მე-13 მუხლის შესაბამისად⁶ ინფორმაციის გაცვლის საფუძველზე შემუშავებული დოკუმენტი, რომელშიც აღწერილია გამოყენებული ტექნიკა, არსებული <i>ემისიები</i> და მოხმარების დონეები, <i>საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკის</i> განსაზღვრისას გათვალისწინებული მეთოდები და ამ <i>ტექნიკის შესახებ დასკვნები</i>, ასევე ნებისმიერი ახალი ტექნიკა, 2010/75/EU დირექტივის III დანართში ჩამოთვლილი კრიტერიუმების გათვალისწინებით.</p>
<p>Bribery</p> <p>მექრთამეობა</p>	<p>არაკეთილსინდისიერად ვინმეს დარწმუნება, იმოქმედოს თქვენს სასარგებლოდ ფულის ჩუქების ან სხვაგვარი წახალისების შედეგად.</p>
<p>Business model</p> <p>ბიზნესმოდელი</p>	<p>საწარმოს სისტემა, რომლის დანიშნულებაცაა საქმიანობის პროცესში დანახარჯებისგან მიიღოს პროდუქტი და შედეგები და რომელიც მიზნად ისახავს საწარმოს სტრატეგიული მიზნების შესრულებას და ღირებულების შექმნას მოკლევადიან, საშუალოვადიან და გრძელვადიან პერსპექტივაში. სტანდარტში ტერმინი „<i>ბიზნეს-მოდელი</i>“ გამოიყენება მხოლოდით რიცხვში, თუმცა მიიჩნევა, რომ საწარმოს შესაძლოა ერთზე მეტი ბიზნესმოდელი ჰქონდეს.</p>
<p>Business relationships</p> <p>საქმიანი ურთიერთობები</p>	<p>ურთიერთობები, რომლებიც საწარმოს აქვს ბიზნესპარტნიორებთან, თავის <i>ღირებულებათა ჯაჭვში</i> არსებულ სუბიექტებთან, ასევე ნებისმიერ სხვა არასახელმწიფო ან სახელმწიფო სუბიექტებთან, რომლებიც უშუალოდ არიან დაკავშირებულნი მის საოპერაციო საქმიანობასთან, პროდუქციასა და მომსახურებასთან. <i>საქმიანი ურთიერთობები</i> არ შემოიფარგლება მხოლოდ პირდაპირი სახელმეკრულებო ურთიერთობებით. იგი მოიცავს საწარმოს <i>ღირებულებათა ჯაჭვში</i> პირველი დონის ფარგლებს გარეთ დამყარებულ არაპირდაპირ საქმიან ურთიერ-</p>

5. 2021 წლის 4 ივნისის კომისიის დელეგირებული რეგულაცია (EU) 2021/2139 - Commission Delegated Regulation (EU) 2021/2139 of 4 June 2021 supplementing Regulation (EU) 2020/852 of the European Parliament and of the Council by establishing the technical screening criteria for determining the conditions under which an economic activity qualifies as contributing substantially to climate change mitigation or climate change adaptation and for determining whether that economic activity causes no significant harm to any of the other environmental objectives (OJ L 442, 9.12.2021, p. 1).

6. დირექტივა 2010/75/EU - Directive 2010/75/EU on industrial emissions (IED).

	<p>თობებსაც და ასევე წილობრივ მონაწილეობას ერთობლივ საწარმოებში ან ინვესტიციებში.</p>
<p>By-product</p> <p>თანმდევი პროდუქტი</p>	<p>ნივთიერება ან საგანი, რომელიც ისეთი საწარმოო პროცესის შედეგად მიიღება, რომლის უპირველესი მიზანი არ არის ამ ნივთიერების ან საგნის წარმოება და მიიჩნევა არა ნარჩენად, არამედ თანმდევი პროდუქტად იმ შემთხვევაში, თუ დაკმაყოფილებულია შემდეგი პირობები:</p> <ol style="list-style-type: none"> გარკვევითაა განსაზღვრული ამ ნივთიერების ან საგნის შემდგომი გამოყენება; შესაძლებელია აღნიშნული ნივთიერების ან საგნის პირდაპირ გამოყენება ყოველგვარი შემდგომი დამუშავების გარეშე, ჩვეულებრივი სამრეწველო საქმიანობის გარდა სხვა მიზნით; ნივთიერება ან საგანი იწარმოება, როგორც წარმოების პროცესის განუყოფელი ნაწილი; და მისი შემდგომი გამოყენება კანონიერია, ე.ი. ნივთიერება ან საგანი აკმაყოფილებს პროდუქტის, გარემოს და ჯანმრთელობის დაცვის ყველა შესაბამის მოთხოვნას კონკრეტული გამოყენებისთვის და არ გამოიწვევს გარემოზე ან ადამიანის ჯანმრთელობაზე საერთო უარყოფით ზემოქმედებას.
<p>Carbon credit</p> <p>ნახშირბადის კრედიტი</p>	<p>გადაცემადი ან გაყიდვადი ინსტრუმენტი, რომელიც შეესაბამება ერთი მეტრული ტონა ნახშირორჟანგის ეკვივალენტის ემისიის შემცირებას ან მოცილებას და მისი გაცემა და ვერიფიცირება ხდება ხარისხის აღიარებული სტანდარტების შესაბამისად.</p>
<p>Carbon dioxide (CO2) equivalent (eq)</p> <p>ნახშირორჟანგის ეკვივალენტი</p>	<p>უნივერსალური საზომი ერთეული, რომელიც გვიჩვენებს თითოეული სათბურის აირის გლობალური დათბობის პოტენციალს (გდბ) და გამოისახება ერთი ერთეული ნახშირორჟანგის გლობალური დათბობის პოტენციალში. იგი გამოიყენება სხვადასხვა სათბურის აირის გამოყოფის (გამოყოფის თავიდან აცილების) საერთო საფუძვლით შესაფასებლად.</p>
<p>Child labour</p> <p>ბავშვთა შრომა</p>	<p>სამუშაო, რომელიც ბავშვებს ართმევს ბავშვობას, შესაძლებლობებს და ღირსებას და ზიანს აყენებს მათ ფიზიკურ და გონებრივ განვითარებას. ეს ეხება ისეთ სამუშაოს, რომელიც:</p> <ol style="list-style-type: none"> სულიერი, ფიზიკური, სოციალური და მორალური თვალსაზრისით სახიფათო და საზიანოა ბავშვებისთვის; ან/და ხელს უშლის მათ სასკოლო განათლების მიღებაში, კერძოდ, ართმევს მათ სკოლაში სიარულის შესაძლებლობას, აიძულებს მათ სკოლის ნაადრევად მიტოვებას, ან მოითხოვს მათგან სკოლაში სიარულის პარალელურად გადაჭარბებულად ხანგრძლივი და მძიმე სამუშაოს შესრულებას. <p>ბავშვად მიიჩნევა 18 წლამდე ასაკის პირი. შეიძლება თუ არა, რომ ამა თუ იმ ფორმის „სამუშაოს“ „ბავშვთა შრომა“ ეწოდოს, დამოკიდებულია ბავშვის ასაკზე, შესრულებული სამუშაოს ტიპზე და სამუშაო საათებზე, ასევე სამუშაოს პირობებზე. პასუხი განსხვავდება ქვეყნების მიხედვით, ასევე ქვეყნის ფარგლებში დარგების მიხედვით.</p> <p>შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) „მინიმალური ასაკის შესახებ“ №138 კონვენციის შესაბამისად, სამუშაოს შესასრულებლად საჭირო მინიმალური ასაკი არ უნდა იყოს სავალდებულო სასკოლო სწავლების დასრულების მინიმალურ ასაკზე ნაკლები და, ნებისმიერ შემთხვევაში, არ უნდა იყოს 15 წელზე ნაკლები. გამონაკლისად ითვლება ზოგიერთი ისეთი ქვეყანა, სადაც ეკონომიკა და განათლების სისტემა საკმარისად განვითარებული არ არის. ამ შემთხვევაში მინიმალურ ასაკად მიიჩნევა 14 წელი.</p> <p>ეს გამონაკლისი ქვეყნები განისაზღვრება შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ (ILO) კონკრეტული ქვეყნის სპეციალური განაცხადის საფუძველზე და დამსაქმებელთა და მომუშავეთა წარმომადგენლობით ორგანიზაციებთან კონსულტაციების შედეგად.</p> <p>ეროვნულმა კანონმდებლობამ შეიძლება დაუშვას 13-დან 15 წლამდე ასაკის</p>

	პირების დასაქმება მსუბუქ სამუშაოზე, თუ ეს არ არის საზიანო მათი ჯანმრთელობის ან განვითარებისთვის და არ შეაფერხებს სკოლაში მათ სიარულს, ან პროფესიულ ან სასწავლო პროგრამებში მათ მონაწილეობას. 18 წელზე ნაკლები არ უნდა იყოს ისეთ სამუშაოზე დაშვების მინიმალური ასაკი, რომელმაც თავისი ბუნებით ან იმ გარემოებებით, რომელშიც იგი ხორციელდება, შესაძლოა საფრთხე შეუქმნას ახალგაზრდის ჯანმრთელობას, უსაფრთხოებას ან ზნეობას.
Circular economy ცირკულარული ეკონომიკა	ეკონომიკური სისტემა, სადაც პროდუქტების, მასალებისა და სხვა რესურსების ღირებულება ეკონომიკაში შენარჩუნებულია რაც შეიძლება დიდხანს, ამალეებს რა წარმოებასა და მოხმარებაში მათი გამოყენების ეფექტიანობას, რის შედეგადაც მცირდება მათი გამოყენებით გამოწვეული ზემოქმედების ხარისხი გარემოზე, მცირდება <i>ნარჩენები</i> და სახიფათო <i>ნივთიერებების</i> გამოყოფა მათი სასიცოცხლო ციკლის ყველა ეტაპზე, მათ შორის <i>ნარჩენების იერარქიის</i> გამოყენების გზით.
Circular economy principles ცირკულარული ეკონომიკის პრინციპები	<i>ცირკულარული ეკონომიკის</i> ევროპული პრინციპებია: i. გამოყენებადობა; ii. ხელახლა გამოყენების შესაძლებლობა; iii. შეკეთების შესაძლებლობა; iv. დემონტაჟი; v. წარმოებაში ხელახლა ჩაშვება ან აღდგენა/განახლება; vi. <i>რეციკლირება</i> ; vii. ბიოლოგიური ციკლის შედეგად რეცირკულაცია; viii. პროდუქტისა და მასალის გამოყენების ოპტიმიზაციის შესაძლებლობა სხვა სახით.
Circular material use rate მასალების ცირკულარული გამოყენების მაჩვენებელი	მასალების, კომპონენტებისა და პროდუქტების რეცირკულაცია მათი პრაქტიკაში პირველი გამოყენების შემდეგ, ქვემოთ მოცემული სტრატეგიების გამოყენებით (პრიორიტეტების მიხედვით); i. ტექნიკური მომსახურება/ხანგრძლივი გამოყენება; ii. <i>ხელახალი გამოყენება</i> /ხელახლა დისტრიბუცია; iii. აღდგენა/განახლება/წარმოებაში ხელახლა ჩაშვება; iv. <i>რეციკლირება</i> , კომპოსტირება, ან ანაერობული დაშლა. ზემოაღნიშნული <i>გამოყენების მაჩვენებელი</i> განისაზღვრება მასალების ცირკულარული გამოყენების შეფარდებით მასალების მთლიან გამოყენებასთან.
Classified information საიდუმლო ინფორმაცია	<i>საიდუმლო ინფორმაცია</i> , როგორც ეს განსაზღვრულია ევროპული საბჭოს 2013/488/EU გადაწყვეტილებით ⁷ „ევროკავშირის <i>საიდუმლო ინფორმაციის</i> დაცვის უსაფრთხოების წესების შესახებ“, ან რომელიმე წევრი სახელმწიფოს მიერ განსაზღვრული/კლასიფიცირებული საიდუმლო ინფორმაცია, როგორც ეს მითითებულია საბჭოს ამ გადაწყვეტილების „ბ“ დანართში.
Climate change adaptation კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაცია	კლიმატის რეალურ და მოსალოდნელ ცვლილებასა და მის <i>ზემოქმედებასთან</i> შეგუების პროცესი.
Climate change mitigation კლიმატის ცვლილების შერბილება	<i>სათბურის აირების ემისიების</i> შემცირებისა და გლობალური საშუალო ტემპერატურის ზრდის შეზღუდვის პროცესი 1,5°C-მდე პრეინდუსტრიულ დონესთან შედარებით, პარიზის შეთანხმების შესაბამისად.
Climate resilience კლიმატის ცვლილების მიმართ მედეგობა	საწარმოს შესაძლებლობა, მოერგოს კლიმატის ცვლილებას და კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებულ მოვლენებსა და <i>განუსაზღვრელობას</i> . <i>კლიმატის ცვლილების მიმართ მედეგობა</i> გულისხმობს საწარმოს შესაძლებლობას, მართოს კლიმატთან დაკავშირებული <i>1-ელი კატეგორიის ემისიები</i> და მიიღოს სარგებელი კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული <i>შესაძლებლობებისგან</i> , მათ შორის

7. 2013/488/EU: ევროპული საბჭოს 2013 წლის 23 სექტემბრის გადაწყვეტილება - 2013/488/EU: Council Decision of 23 September 2013 on the security rules for protecting EU classified information (OJ L 274, 15.10.2013, p. 1).

	<p>გარდამავალ რისკებსა და ფიზიკურ რისკებზე რეაგირებისა და მათთან ადაპტაციის უნარს. კლიმატის ცვლილების მიმართ საწარმოს მედეგობა მოიცავს როგორც სტრატეგიულ, ისე ოპერატიულ მედეგობას კლიმატთან დაკავშირებული ცვლილებების, მოვლენებისა და განუსაზღვრელობის მიმართ.</p>
<p>Climate-related opportunity</p> <p>კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული შესაძლებლობები</p>	<p>კლიმატის ცვლილებით განპირობებული შესაძლო დადებითი შედეგები საწარმოსათვის. კლიმატის ცვლილების შერბილებისა და მასთან ადაპტაციის მცდელობის შედეგად შესაძლოა საწარმოსთვის შეიქმნას შესაძლებლობები. კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული შესაძლებლობები განსხვავებულია იმ რეგიონის, ბაზრისა და დარგის მიხედვით, რომელშიც საწარმო საქმიანობს.</p>
<p>Climate-related physical risk (Physical risk from climate change)</p> <p>კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ფიზიკური რისკი (კლიმატის ცვლილების შედეგად წარმოშობილი ფიზიკური რისკი)</p>	<p>კლიმატის ცვლილების შედეგად წარმოშობილი რისკები, რომლებიც შეიძლება გამოწვეული იყოს ექსტრემალური მოვლენებით (მწვავე) ან კლიმატის მოდელის ხანგრძლივი, თანდათანობითი ცვლილებებით (ქრონიკული).</p> <p>მწვავე ფიზიკური რისკები წარმოიქმნება კონკრეტული საფრთხისგან, განსაკუთრებით ამინდთან დაკავშირებული მოვლენებისგან, როგორებიცაა, ქარიშხლები, წყალდიდობები, ხანძრები ან ძლიერი სიციხის პერიოდები.</p> <p>ქრონიკული ფიზიკური რისკები წარმოიქმნება კლიმატის ხანგრძლივი, თანდათანობითი ცვლილებების შედეგად, როგორებიცაა, ტემპერატურის ცვლილება და მათი გავლენა ზღვის დონის მატებაზე, წყლის არსებული მარაგის შემცირება, ბიომრავალფეროვნების კარგვა, ასევე მიწისა და ნიადაგის პროდუქტიულობის ცვლილებები.</p>
<p>Climate-related transition risk</p> <p>კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული გარდამავალი რისკი</p>	<p>რისკები, რომლებიც წარმოიქმნება დაბალნახშირბადიან და კლიმატის ცვლილების მიმართ მედეგ ეკონომიკაზე გადასვლის პროცესში. ამგვარი რისკები, ჩვეულებრივ, მოიცავს პოლიტიკასთან დაკავშირებულ რისკებს, სამართლებრივ რისკებს, ტექნოლოგიურ რისკებს, საბაზრო რისკებსა და რეპუტაციულ რისკებს.</p>
<p>Collective bargaining</p> <p>კოლექტიური შეთანხმება</p>	<p>ნებისმიერი მოლაპარაკება, რომელიც იმართება, ერთი მხრივ, დამსაქმებელს, დამსაქმებელთა ჯგუფს ან დამსაქმებელთა ერთ ან რამდენიმე ორგანიზაციას, და მეორე მხრივ, ერთ ან რამდენიმე პროფკავშირს ან, მათი არარსებობის შემთხვევაში, მომუშავეთა მიერ ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად სათანადოდ არჩეულ და უფლებამოსილ წარმომადგენელთა შორის, შემდეგ საკითხებზე:</p> <ol style="list-style-type: none"> i. სამუშაო პირობებისა და დასაქმების პირობების განსაზღვრა; ან/და ii. დამსაქმებლებსა და მომუშავეთა შორის ურთიერთობების რეგულირება; ან/და დამსაქმებლებს ან მათ ორგანიზაციებსა და მომუშავეთა ორგანიზაციას ან ორგანიზაციებს შორის ურთიერთობების რეგულირება.
<p>Confirmed incident (child or forced labour or human trafficking)</p> <p>დადასტურებული ინციდენტი (ბავშვთა ან იძულებითი შრომასთან ან ადამიანებით ვაჭრობასთან დაკავშირებული)</p>	<p>ბავშვთა, ან იძულებითი შრომის, ან ადამიანებით ვაჭრობის ინციდენტი, რომელიც შესაბამისი სამხილებით არის დასაბუთებული. დადასტურებული ინციდენტი არ მოიცავს ბავშვთა ან იძულებითი შრომის ან ადამიანებით ვაჭრობის ისეთ ინციდენტს, რომლის გამოძიება მოცემულ საანგარიშგებო პერიოდში ჯერ კიდევ მიმდინარეობს.</p>

<p>Confirmed incident of corruption or bribery</p> <p>კორუფციის ან მექრთამეობის დადასტურებული ინციდენტი</p>	<p><i>კორუფციის ან მექრთამეობის ინციდენტი</i>, რომელიც შესაბამისი სამხილებით არის დასაბუთებული. <i>კორუფციის ან მექრთამეობის დადასტურებული ინციდენტი</i> არ მოიცავს <i>კორუფციის ან მექრთამეობის</i> ისეთ <i>ინციდენტს</i>, რომლის გამოძიება მოცემული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ჯერ კიდევ მიმდინარეობს.</p> <p>შესაძლო კანონდარღვევის შემთხვევების დასაბუთება შეიძლება მოხდეს საწარმოში კანონმდებლობის დაცვაზე პასუხისმგებელი პირის, ან მსგავსი ქვედანაყოფის, ან ორგანოს მიერ. სავალდებულო არ არის ინციდენტის დასაბუთება სასამართლოს მიერ.</p>
<p>Consumer</p> <p>მომხმარებელი</p>	<p>პირები, რომლებიც იძენენ, მოიხმარენ ან იყენებენ საქონელს და მომსახურებას პირადი სარგებლობისთვის, თავისთვის ან სხვისთვის, მაგრამ არა ხელახლა გაყიდვის, კომერციული ან სავაჭრო, სამეწარმეო, ხელობასთან დაკავშირებული ან პროფესიული მიზნებისთვის.</p>
<p>Corporate culture</p> <p>კორპორაციული კულტურა</p>	<p><i>კორპორაციული კულტურა</i> გამოხატავს მიზნებს ღირებულებებისა და რწმენის მეშვეობით. იგი საწარმოს ეხმარება, თავისი საქმიანობა წარმართოს ისეთი საერთო დაშვებებისა და გუნდური ნორმების დადგენის გზით, როგორცაა, მაგალითად, ღირებულებები, მისია ან ქცევის კოდექსი.</p>
<p>Corruption</p> <p>კორუფცია</p>	<p>ცალკეული პირების ან ორგანიზაციების მიერ მინდობილი ძალაუფლების ბოროტად გამოყენება პირადი სარგებლის მიღების მიზნით. იგი მოიცავს ისეთ აქტივობებს, როგორებიცაა წამახალისებელი თანხის გადახდა პროცესის/გადაწყვეტილების დაჩქარებისთვის, თაღლითობა, გამოძალვა, ფარული შეთანხმება და ფულის გათეთრება. იგი ასევე მოიცავს ნებისმიერი საჩუქრის, სესხის, საზღაურის, ჯილდოს ან სხვა ტიპის სარგებლის შეთავაზებას ნებისმიერი პირისთვის ან მიღებას ნებისმიერი პირისგან საწარმოს სამეწარმეო საქმიანობის პროცესში, არაკეთილსინდისიერი, უკანონო, ან საკუთარი მოვალეობის შეუსრულებლობის გამომწვევი ქმედების ჩადენის წახალისების მიზნით. გარდა ამისა, შეიძლება მოიცავდეს ფულად ან არაფულადი სახით მიღებულ სარგებელს, როგორცაა უფასო საქონელი, საჩუქრები და დასვენება, ან ისეთ სპეციალურ პირად მომსახურებას, რომლის გაწევა ხდება არასათანადო სარგებლის მიღების მიზნით, ან რამაც აღნიშნული სარგებლის მიღების მიზნით შეიძლება მორალური ზეწოლა გამოიწვიოს.</p>
<p>Credible proxies</p> <p>ნდობით აღჭურვილი პირები</p>	<p>პირები, რომელთაც აქვთ კონკრეტულ რეგიონში ან სიტუაციაში ზემოქმედების ქვეშ მყოფ <i>დაინტერესებულ მხარეებთან</i> (მაგალითად, ფერმეებში მომუშავე ქალები, <i>მკვიდრი მოსახლეობა</i> ან მიგრანტი მომუშავეები) ურთიერთობის საკმარისად დიდი გამოცდილება და შეუძლიათ მათი შესაძლო პრობლემების რეალურად გადმოცემა. პრაქტიკაში, ესენი შეიძლება იყვნენ განვითარებასა და ადამიანის უფლებების დაცვის საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციები, საერთაშორისო პროფესიული კავშირები და ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოება, მათ შორის რელიგიური ორგანიზაციები.</p>
<p>Current financial effects</p> <p>მიმდინარე ფინანსური შედეგები</p>	<p>მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდის <i>ფინანსური შედეგები</i>, რომლებიც ასახულია ძირითად ფინანსურ ანგარიშგებაში.</p>
<p>Decarbonisation levers</p> <p>დეკარბონიზაციის ბერკეტები</p>	<p>სხვადასხვა ტიპის შემარბილებელ <i>ქმედებათა</i> ერთობლიობა, როგორებიცაა ენერგოეფექტურობა, ელექტრიფიკაცია, ალტერნატიულ საწვავზე გადასვლა, <i>განახლებადი ენერჯის</i> გამოყენება, პროდუქტებში ცვლილების შეტანა და მიწოდების ჯაჭვის დეკარბონიზაცია, რაც შესაბამისობაშია საწარმოს კონკრეტულ <i>ქმედებებთან</i>.</p>

Deforestation გაუტყეურება	ადამიანის მიერ ტყის გაჩეხა ან გაჩანაგება დროებით ან მუდმივად ⁸ .
Degradation or degraded ecosystem დეგრადაცია ან დეგრადირებული ეკოსისტემა	ადამიანის მხრიდან მუდმივი ხასიათის ზემოქმედება , რაც იწვევს ბიომრავალფეროვნების კარგვას და ეკოსისტემის სტრუქტურის, შემადგენლობისა და ფუნქციური შესაძლებლობის დარღვევას.
Dependencies დამოკიდებულება	საწარმოს დამოკიდებულება სამეწარმეო პროცესში ბუნებრივ, ადამიანურ ან/და სოციალურ რესურსებზე.
Deposit in water and soil დანალექი წყალსა და ნიადაგში	ამა თუ იმ ნივთიერების რაოდენობა, რომელიც დაგროვდა გარემოში, წყალში ან ნიადაგში საწარმოს რეგულარული ქმედებების, ან ინციდენტების , ან საწარმოდან ნარჩენების მოცილების შედეგად, იმის მიუხედავად, ამგვარი დაგროვება საწარმოს საქმიანობის განხორციელების ადგილზე ხდება თუ მის გარეთ.
Desertification გაუდაბნობა	მიწის დეგრადირება არიდულ, სემიარიდულ და მშრალ სუბჰუმიდურ ტერიტორიებზე, რაც ძირითადად გამოწვეულია კლიმატის ცვლილებითა და ადამიანის საქმიანობით. გაუდაბნობაში არ მოიაზრება არსებული უდაბნოების ბუნებრივად გაფართოება.
Discharge ჩამონადენი	ჩამდინარე წყლების ჩამონადენი ნიშნავს წყლის (გამოსახული მ ³ -ში) ან ნივთიერების (გამოსახული ჟანგბადის ქიმიური მოხმარება (BOD)კგ/დღეებში ან მსგავს ერთეულებში) რაოდენობას, რომელიც ემატება/იჟონება წყლის ობიექტში წერტილოვანი ან არაწერტილოვანი წყაროდან. საკანალიზაციო ჩამდინარე წყლები (ან ჩამონადენი) ნიშნავს გაწმენდილ საკანალიზაციო წყლებს, რომელიც საკანალიზაციო წყლების გამწმენდი ნაგებობიდან ჩამოედინება.
Discrimination დისკრიმინაცია	დისკრიმინაცია შეიძლება განხორციელდეს პირდაპირ ან ირიბად. პირდაპირი დისკრიმინაცია არის პირის მიმართ რომელიმე ნიშნის გამო (რომელიც მოიაზრება დისკრიმინაციულ ნიშნებში) ისეთი მოპყრობა, რომელიც მას არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირებთან შედარებით. ირიბი დისკრიმინაცია არის მდგომარეობა, როდესაც ფორმით ნეიტრალური და არსით დისკრიმინაციული დებულება პირს ან მსგავსი ნიშნების მქონე პირთა ჯგუფს აყენებს არახელსაყრელ მდგომარეობაში. ამ შემთხვევაში უნდა დასტურდებოდეს, რომ ამა თუ იმ გადაწყვეტილებამ ეს ჯგუფი უფრო არახელსაყრელ მდგომარეობაში ჩააყენა ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა ჯგუფთან შედარებით.
Double materiality ორმაგი არსებითობა	ორმაგ არსებითობას აქვს ორი მხარე: ზემოქმედების არსებითობა და ფინანსური არსებითობა . მდგრადობის საკითხი დააკმაყოფილებს ორმაგი არსებითობის კრიტერიუმს, თუ იგი არსებითი იქნება ზემოქმედების თვალსაზრისით, ან ფინანსური თვალსაზრისით, ან ორივე ასპექტში.
Durability of a product, component or material	პროდუქტის, კომპონენტის ან მასალის უნარი, დარჩეს ფუნქციური და შესაფერისი დანიშნულებისამებრ გამოყენებისას.

8. 2022 წლის 6 აპრილის კომისიის დელეგირებული რეგულაციის (EU) 2022/1288 დანართ I-ის 21-ე პუნქტი - Commission Delegated Regulation (EU) 2022/1288 of 6 April 2022 supplementing Regulation (EU) 2019/2088 of the European Parliament and of the Council with regard to regulatory technical standards specifying the details of the content and presentation of the information in relation to the principle of 'do no significant harm', specifying the content, methodologies and presentation of information in relation to sustainability indicators and adverse sustainability impacts, and the content and presentation of the information in relation to the promotion of environmental or social characteristics and sustainable investment objectives in pre-contractual documents, on websites and in periodic reports (OJ L 196, 25.7.2022, p. 1).

პროდუქტის, კომპონენტის ან მასალის მომსახურების ვადა	
Ecological threshold ეკოლოგიური ზღვარი	კრიტიკული ზღვარი, როდესაც გარემო პირობების შედარებით მცირე ცვლილება <i>ეკოსისტემაში</i> სწრაფ ცვლილებებს იწვევს. <i>ეკოლოგიური ზღვრის</i> გადალახვის შემდეგ <i>ეკოსისტემას</i> აღარ შეუძლია დაუბრუნდეს თავის პირვანდელ მდგომარეობას აღდგენის ბუნებრივი უნარის მეშვეობით.
Ecosystem extent ეკოსისტემის მასშტაბი	<i>ეკოსისტემის</i> აქტივის ზომა, იმის გათვალისწინებით, რომ <i>ეკოსისტემის</i> აქტივი არის ისეთი კონკრეტული ტიპის <i>ეკოსისტემის</i> მოსაზღვრე სივრცე, რომელიც განსხვავებული ბიოტური და აბიოტური კომპონენტებითა და მათი ურთიერთქმედებით ხასიათდება.
Ecosystem restoration ეკოსისტემის აღდგენა	ნებისმიერი მიზანმიმართული ქმედება, რომელიც იწყებს ან აჩქარებს დეგრადირებული მდგომარეობიდან <i>ეკოსისტემის</i> აღდგენის პროცესს.
Ecosystem services ეკოსისტემური მომსახურება	<i>ეკოსისტემების</i> წვლილი იმ სარგებელში, რომელიც გამოიყენება ეკონომიკურ და ადამიანის მიერ განხორციელებულ სხვა საქმიანობაში. შესაბამისად, ეს არის სარგებელი, რომელსაც ადამიანი <i>ეკოსისტემებისგან</i> იღებს. ათასწლეულის ეკოსისტემის შეფასებით (Millennium Ecosystem Assessment), <i>ეკოსისტემური მომსახურება</i> შეიძლება დაიყოს დამხმარე, მარეგულირებელ, რესურსებით უზრუნველყოფისა და კულტურულ მომსახურებად. <i>ეკოსისტემური მომსახურების</i> ტიპები კლასიფიცირებულია ეკოსისტემურ მომსახურებათა ერთობლივი საერთაშორისო საკლასიფიკაციო სისტემით (CICES).
Ecosystem(s) ეკოსისტემა/ეკოსისტემები	მცენარეთა, ცხოველთა და მიკროორგანიზმთა თანასაზოგადოებების, ასევე მათ გარშემო არსებული არაცოცხალი გარემოს განვითარებადი კომპლექსი, რომლებიც ურთიერთქმედებენ როგორც ერთიანი ფუნქციური ერთეული. <i>ეკოსისტემების</i> ტიპოლოგია მოცემულია ბუნების დაცვის მსოფლიო კავშირის (IUCN) მიერ გამოცემულ დოკუმენტში - „გლობალური ეკოსისტემის ტიპოლოგია 2.0“.
Emission ემისია	სტაციონარული ან დისპერსიული წყაროდან <i>ნივთიერებების</i> , ვიბრაციის, სითბოს ან ხმაურის პირდაპირი ან არაპირდაპირი გავრცელება ჰაერში, წყალში ან <i>ნიადაგში</i> .
Employee დასაქმებული	პირი, რომელიც საწარმოსთან შრომით ურთიერთობაში იმყოფება ეროვნული კანონმდებლობის ან პრაქტიკის შესაბამისად.
End-users საბოლოო მომხმარებლები	პირები, რომლებიც პირადი საჭიროებისთვის იყენებენ ან მოსალოდნელია, რომ გამოიყენებენ მზა პროდუქტს ან მომსახურებას.
Equal opportunities თანაბარი შესაძლებლობები	პირებისთვის განათლების, ტრენინგის, დასაქმების, კარიერული განვითარების და უფლებამოსილების გამოყენების შესაძლებლობებზე თანაბარი და არადისკრიმინაციული წვდომა იმგვარად, რომ ისინი არ იქნებიან ჩაყენებულნი არახელსაყრელ მდგომარეობაში ისეთი ნიშნების საფუძველზე, როგორცაა სქესი, რასობრივი და ეთნიკური წარმომავლობა, ეროვნება, რელიგია ან რწმენა, შეზღუდული შესაძლებლობები, ასაკი ან სექსუალური ორიენტაცია.

9. 2010 წლის 24 ნოემბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2010/75/EU დირექტივა სამრეწველო ემისიების შესახებ დირექტივა 2010/75/EU - Directive 2010/75/EU on industrial emissions (IED).

<p>Equal treatment</p> <p>თანაბარი მოპყრობა</p>	<p><i>თანაბარი მოპყრობის</i> პრინციპი არის ევროპული სამართლის ზოგადი პრინციპი, რომელიც გულისხმობს მსგავსი გარემოებების ან მსგავს გარემოებებში მყოფი მხარეების მიმართ ერთნაირად მოპყრობას. ESRS S1-ის კონტექსტში, ტერმინი „<i>თანაბარი მოპყრობა</i>“ ასევე აღნიშნავს დისკრიმინაციის დაუშვებლობის პრინციპს, რომლის თანახმად დაუშვებელია პირდაპირი და არაპირდაპირი დისკრიმინაცია ნებისმიერი ისეთი ნიშნის საფუძველზე, როგორცაა სქესი, რასა, კანის ფერი, ეთნიკური ან სოციალური წარმომავლობა, გენეტიკური ნიშნები, ენა, რელიგია ან რწმენა, პოლიტიკური ან ნებისმიერი სხვა ტიპის მოსაზრება, ეროვნული უმცირესობის წარმომადგენლობა, ქონებრივი მდგომარეობა, დაბადების ადგილი, შეზღუდული შესაძლებლობები, ასაკი ან სექსუალური ორიენტაცია.</p>
<p>Financial effects</p> <p>ფინანსური შედეგები</p>	<p><i>რისკებითა და შესაძლებლობებით</i> გამოწვეული შედეგები, რომლებიც გავლენას ახდენს საწარმოს ფინანსურ მდგომარეობაზე, ფინანსურ შედეგებსა და ფულად ნაკადებზე მოკლე, საშუალო და გრძელვადიან პერიოდში.</p>
<p>Financial materiality</p> <p>ფინანსური არსებითობა</p>	<p>მდგრადობის საკითხი ფინანსური თვალსაზრისით არსებითია იმ შემთხვევაში, თუ იგი წარმოქმნის ისეთ <i>რისკებსა და შესაძლებლობებს</i>, რომლებიც გავლენას ახდენს (ან გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელია, რომ გავლენას მოახდენს) საწარმოს ფინანსურ მდგომარეობაზე, ფინანსურ შედეგებზე, ფულად ნაკადებზე, დაფინანსების ხელმისაწვდომობაზე ან კაპიტალის ღირებულებაზე მოკლე, საშუალო და გრძელვადიან პერიოდში.</p>
<p>Forced labour</p> <p>იძულებითი შრომა</p>	<p>ნებისმიერი სამუშაო ან მომსახურება, რომელიც იძულებით მიიღება პირისგან მის მიმართ სასჯელის გამოყენების მუქარით და რომლის შესრულება პირს ნებაყოფლობით არ შეუთავაზებია. ეს ტერმინი მოიცავს ყველანაირ სიტუაციას, სადაც პირებს ნებისმიერი საშუალებით აიძულებენ სამუშაოს შესრულებას, მათ შორის ტრადიციულ „მონურ“ პრაქტიკას და იძულების თანამედროვე ფორმებს, რაც გულისხმობს შრომით ექსპლუატაციას; ასევე შეიძლება მოიცავდეს ადამიანებით ვაჭრობას და თანამედროვე ფორმის მონობას.</p>
<p>Fossil fuel</p> <p>წიაღისეული საწვავი</p>	<p>არაგანახლებადი, ნახშირბადზე დაფუძნებული ენერჯის წყაროები, როგორებიცაა მყარი საწვავი, ბუნებრივი აირი და ნავთობი.</p>
<p>Free, Prior and Informed Consent (FPIC)</p> <p>ნებაყოფლობითი, წინასწარი და ინფორმირებული თანხმობა</p>	<p>ოფიციალური აღიარება <i>მკვიდრი მოსახლეობის</i> უფლების, თავად განსაზღვრონ საკუთარი პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური და კულტურული პრიორიტეტები. იგი მოიცავს <i>მკვიდრი მოსახლეობის</i> სამ ურთიერთდაკავშირებულ და კუმულაციურ უფლებას: კონსულტაციის უფლება, მონაწილეობის უფლება და უფლება საკუთარ მიწებზე, ტერიტორიებსა და რესურსებზე. ნებაყოფლობითი, წინასწარი და ინფორმირებული თანხმობა ეხება <i>მკვიდრი მოსახლეობას</i> და აღიარებულია ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლით, კერძოდ, გაეროს დეკლარაციით „<i>მკვიდრი მოსახლეობის</i> უფლებების შესახებ“ (United Nations Declaration on the Rights of Indigenous Peoples (UNDRIP)).</p>
<p>Freshwater</p> <p>მტკნარი წყალი</p>	<p><i>მიწისქვეშა</i> და ზედაპირული <i>წყლები</i>, საშუალო წლიური მარილიანობით < 0,5 ‰ (ე.ი. წყლის ჩარჩო ღირექტივის მე-2 დანართში მითითებული ზღვარი).</p>
<p>GHG emission reduction</p> <p>სათბურის აირების ემისიის შემცირება</p>	<p>საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საწარმოს <i>1-ელი, მე-2, მე-3 კატეგორიის</i> სათბურის აირების ან <i>სათბურის აირების</i> მთლიანი <i>ემისიების</i> შემცირება საბაზისო წლის <i>ემისიებთან</i> შედარებით. <i>ემისიების</i> შემცირება შეიძლება განპირობებული იყოს, სხვასთან ერთად, შემდეგი ფაქტორებით: ენერგოეფექტურობა, ელექტრიფიკაცია, <i>მომწოდებელთა</i> დეკარბონიზაცია, მოხმარებული ენერჯის დეკარბონიზაცია, პროდუქციის შექმნის პროცესის მდგრადობა, ცვლილებები საანგარიშგებო საზღვრებსა და საქმიანობებში (მაგ., აუთსორსინგი, შემცირებული ფუნქციები), იმ პირობით, რომ ისინი მიიღწევა საწარმოს საკუთარ საქმიანობასა და აღმავალ და დაღმავალ <i>ღირებულებათა ჯაჭვში</i>. <i>ემისიების</i> მოცილება და თავიდან აცილება არ მიიჩნევა <i>ემისიების შემცირებად</i>.</p>

<p>GHG removal and storage</p> <p>სათბურის აირების მოცილება და დაგროვება</p>	<p>(ანთროპოგენური) მოცილება აღნიშნავს ადამიანის მიზანმიმართული საქმიანობის შედეგად ატმოსფეროდან <i>სათბურის აირების</i> მოშორებას. ეს მოიცავს გრძელვადიან პერიოდში მოცილებისა და დაგროვების მიღწევის მიზნით CO₂-ის ბიოლოგიური ანთროპოგენური შთანთქმელების გაუმჯობესებას და ქიმიური ინჟინერიის გამოყენებას. სამრეწველო და ენერჯის წყაროებიდან ნახშირბადის გამოყოფის შეკავებით და დაგროვებით (CCS), რაც თავისთავად არ უზრუნველყოფს CO₂-ის ატმოსფეროდან მოცილებას. ატმოსფეროდან CO₂-ის მოცილება იმ შემთხვევაში არის შესაძლებელი, თუ იგი კომბინირებული იქნება ბიოენერჯის წარმოებასთან (Bioenergy with Carbon Capture & Storage - BECCS). მოცილებამ შეიძლება განიცადოს უკუქცევა, რაც გულისხმობს დაგროვებული <i>სათბურის აირების</i> ნებისმიერი ისეთი სახის მოძრაობას ე.წ. „საცავიდან“, რომელიც კვლავ შემოდის ატმოსფეროში. მაგალითად, თუ ხანძარი გაჩნდება ტყეში, რომელიც გაშენდა კონკრეტული რაოდენობის CO₂-ის მოცილების მიზნით, უკუქცევას დაექვემდებარება <i>ემისიები</i>, რომლებიც ხეებმა შეაკავეს.</p>
<p>Global warming potential (GWP)</p> <p>გლობალური დათბობის პოტენციალი (გდპ)</p>	<p>კოეფიციენტი, რომელიც გვიჩვენებს ერთი ერთეული <i>კონკრეტული სათბურის აირის</i> რადიაციულ ზემოქმედებას (ატმოსფეროზე მიყენებული ზიანის ხარისხს) CO₂-ის ერთ ერთეულთან შედარებით.</p>
<p>Greenhouse Gases (GHG)</p> <p>სათბურის აირები</p>	<p>ევროპარლამენტისა და საბჭოს (EU) 2018/1999 რეგულაციის V დანართის მე-2 ნაწილში ჩამოთვლილი აირები¹⁰. მათ შორისაა ნახშირორჟანგი (CO₂), მეთანი (CH₄), აზოტის ქვეჟანგი (N₂O), გოგირდის ჰექსაფტორიდი (SF₆), აზოტის ტრიფტორიდი (NF₃), ჰიდროფტორნახშირბადები (HFCs), პერფტორნახშირბადები (PFCs).</p>
<p>Grievance mechanism</p> <p>საჩივრების მართვის მექანიზმი</p>	<p>ნებისმიერი რუტინული, სახელმწიფო ან არასახელმწიფო, სასამართლო ან არასასამართლო პროცესი, რომლის საშუალებითაც <i>დაინტერესებულ მხარეებს</i> შეუძლიათ საკითხის გასაჩივრება და მისი <i>მოგვარების გზების</i> ძიება. სახელმწიფო სასამართლო და არასასამართლო <i>საჩივრების მართვის მექანიზმების</i> მაგალითებია სასამართლოები, შრომითი დავების ტრიბუნალები, ადამიანის უფლებების დამცველი ეროვნული უწყებები, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის სახელმძღვანელო პრინციპების შესაბამისად დადგენილი ეროვნული საკონტაქტო პუნქტები მულტინაციონალური საწარმოებისთვის, ომბუდსმენის ოფისები, მომხმარებელთა დაცვის სააგენტოები, მარეგულირებელი საზედად-ხედველო ორგანოები და საჩივრების მართვის სახელმწიფო დაწესებულებები.</p> <p><i>საჩივრების მართვის</i> არასახელმწიფო <i>მექანიზმები</i> მოიცავს იმ მექანიზმებს, რომელთაც თავად საწარმო უძღვება, ცალკე ან <i>დაინტერესებულ მხარეებთან</i> ერთად. ასეთებია, მაგალითად ოპერატიული დონის საჩივრების მართვის მექანიზმები და <i>კოლექტიური შეთანხმებები</i>, მათ შორის მექანიზმები, რომლებიც დაწესდა <i>კოლექტიური შეთანხმების</i> შედეგად. გარდა ამისა, მოიცავს იმ მექანიზმებსაც, რომლებსაც უძღვებიან დარგობრივი ასოციაციები, საერთაშორისო ორგანიზაციები, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები ან მრავალი დაინტერესებული მხარისგან შემდგარი ჯგუფები.</p> <p>ოპერატიული დონის <i>საჩივრების მართვის მექანიზმების</i> ადმინისტრირებას ახორციელებს ორგანიზაცია ცალკე ან სხვა მხარეებთან თანამშრომლობით და უშუალოდ არის ხელმისაწვდომი ორგანიზაციის <i>დაინტერესებული მხარეებისთვის</i>. მათი მეშვეობით საჩივრების იდენტიფიცირება და განხილვა შესაძლებელია ადრეულ ეტაპზე და პირდაპირი წესით, რაც ზიანისა და უკმაყოფილების</p>

10. ევროპარლამენტისა და საბჭოს 2018 წლის 11 დეკემბრის რეგულაცია (EU) 2018/1999 - Regulation (EU) 2018/1999 of the European Parliament and of the Council of 11 December 2018 on the Governance of the Energy Union and Climate Action, amending Regulations (EC) No 663/2009 and (EC) No 715/2009 of the European Parliament and of the Council, Directives 94/22/EC, 98/70/EC, 2009/31/EC, 2009/73/EC, 2010/31/EU, 2012/27/EU and 2013/30/EU of the European Parliament and of the Council, Council Directives 2009/119/EC and (EU) 2015/652 and repealing Regulation (EU) No 525/2013 of the European Parliament and of the Council (OJ L 328, 21.12.2018, p. 1).

	<p>ესკალაციის თავიდან აცილების საშუალებას იძლევა. ამასთან, ამგვარი მექანიზმებით ორგანიზაცია მნიშვნელოვან ინფორმაციას იღებს მის მიერ განხორციელებული კომპლექსური შემოწმების ეფექტიანობის შესახებ იმ ადამიანებისგან, ვისაც უშუალოდ ეხება საკითხი.</p> <p>გაეროს 31-ე სახელმძღვანელო პრინციპის შესაბამისად, <i>საჩივრების მართვის</i> ქმედითი <i>მექანიზმები</i> არის ლეგიტიმური, ხელმისაწვდომი, პროგნოზირებადი, სამართლიანი, გამჭვირვალე, უფლებებთან თავსებადი და უწყვეტი ცოდნის/ინფორმაციის მიღების წყარო.</p> <p>ოპერატიული დონის <i>საჩივრების მართვის</i> ქმედითი <i>მექანიზმები</i> ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გარდა მხარეთა ჩართულობასა და დიალოგსაც ეფუძნება. ორგანიზაციისთვის შეიძლება უფრო რთული აღმოჩნდეს <i>საჩივრების მართვის</i> ისეთი <i>მექანიზმების</i> შეფასება, რომელშიც თვითონ მონაწილეობს, ვიდრე იმ მექანიზმების, რომლებიც მან თავად შექმნა.</p>
Groundwater მიწისქვეშა წყალი	მიწის ზედაპირის ქვემოთ გაჯერებულ ზონაში არსებული წყლები, რომლებიც უშუალო შეხებაშია გრუნტთან და წიაღთან ¹¹ .
Habitat ჰაბიტატი	ადგილი ან საქმიანობის განხორციელების ადგილის ტიპი, სადაც ორგანიზმი ან პოპულაცია ბუნებრივად გვხვდება. ეს ტერმინი ასევე გამოიყენება კონკრეტული სახეობისთვის აუცილებელი გარემოს მახასიათებლების ან მისი ეკოლოგიური ნიშის აღსანიშნავად.
Habitat fragmentation ჰაბიტატის ფრაგმენტაცია	ზოგადი ტერმინი, რომელიც აღნიშნავს პროცესების ერთობლიობას, რომლის მეშვეობით <i>ჰაბიტატის</i> დაკარგვა იწვევს მუდმივი <i>ჰაბიტატის</i> ისეთ მრავალ მცირე ზომის ნაკვეთებად დაყოფას, რომლებიც ერთმანეთისგან იზოლირებულნი არიან განსხვავებული ფორმის <i>ჰაბიტატით</i> . <i>ჰაბიტატის ფრაგმენტაცია</i> შეიძლება გამოიწვიოს როგორც ბუნებრივმა პროცესებმა (ტყისა და მინდვრის ხანძრები, წყალდიდობები), ისე ადამიანის საქმიანობამ (სატყეო მეურნეობა, სოფლის მეურნეობა, ურბანიზაცია).
Harassment შევიწროება	სიტუაცია, როდესაც აკრძალულ <i>დისკრიმინაციულ</i> ნიშანთან (როგორცაა, მაგალითად, სქესი ევროპარლამენტისა და საბჭოს 2006/54/EC დირექტივის ¹² შესაბამისად, ან რელიგია ან რწმენა, შეზღუდული შესაძლებლობები, ასაკი ან სექსუალური ორიენტაცია საბჭოს 2000/78/EC დირექტივის ¹³ შესაბამისად) დაკავშირებული არასასურველი ქცევა ხორციელდება პიროვნების ღირსების შელახვის, ასევე დამაშინებელი, მტრული, ღირსების შემლახველი, დამამცირებელი ან შეურაცხყოფელი გარემოს შექმნის მიზნით (ან აღნიშნული ქცევის შედეგად ილახება პიროვნების ღირსება ან იქმნება დამაშინებელი, მტრული, ღირსების შემლახველი, დამამცირებელი ან შეურაცხყოფელი გარემო).
Hazardous waste სახიფათო ნარჩენები	<i>ნარჩენები</i> , რომლებიც ავლენს <i>ნარჩენების</i> შესახებ ევროპარლამენტისა და საბჭოს 2008/98/EC დირექტივის III დანართში ჩამოთვლილ ერთ ან ერთზე მეტ სახიფათო თვისებას. ¹⁴

High climate impact sectors	სექტორები, რომლებიც ჩამოთვლილია ევროპარლამენტისა და საბჭოს No.
------------------------------------	--

- ევროპარლამენტისა და საბჭოს 2020 წლის 18 ივნისის რეგულაციის (EU) 2020/852 მუხლი 2(20) - Regulation (EU) 2020/852 of the European Parliament and of the Council of 18 June 2020 on the establishment of a framework to facilitate sustainable investment, and amending Regulation (EU) 2019/2088 (OJ L 198, 22.6.2020, p. 13).
- ევროპარლამენტისა და საბჭოს 2006 წლის 5 ივლისის დირექტივა 2006/54/EC - Directive 2006/54/EC of the European Parliament and of the Council of 5 July 2006 on the implementation of the principle of equal opportunities and equal treatment of men and women in matters of employment and occupation (OJ L 204, 26.7.2006, p. 23).
- ევროკავშირის საბჭოს 2000 წლის 27 ნოემბრის დირექტივა 2000/78/EC - Council Directive 2000/78/EC of 27 November 2000 establishing a general framework for equal treatment in employment and occupation (OJ L 303, 2.12.2000, p. 16).
- ევროპარლამენტისა და საბჭოს 2008 წლის 19 ნოემბრის დირექტივა 2008/98/EC - Directive 2008/98/EC of the European Parliament and of the Council of 19 November 2008 on waste and repealing certain Directives (OJ L 312, 22.11.2008, p. 3).

კლიმატის ცვლილებებზე ძლიერი ზემოქმედების მქონე სექტორები	1893/2006 რეგულაციის (EC) ¹⁵ A – H განყოფილებებსა და L განყოფილებაში (როგორც ეს განსაზღვრულია კომისიის დელეგირებულ რეგულაციაში (EU) 2022/1288 ¹⁶).
Impacts ზემოქმედება	გავლენა, რომელსაც საწარმო ახდენს ან შეუძლია მოახდინოს გარემოსა და ადამიანებზე, მათ შორის, ადამიანის უფლებებზე, რომელიც უკავშირდება საწარმოს ოპერაციებს და აღმავალ და დაღმავალ <i>ღირებულებათა ჯაჭვს</i> , მის პროდუქციასა და მომსახურებას და <i>საქმიან ურთიერთობებს</i> . <i>ზემოქმედება</i> შეიძლება იყოს ფაქტობრივი ან პოტენციური, უარყოფითი ან დადებითი, გამიზნული ან უნებლიე, შექცევადი ან შეუქცევადი და შეიძლება წარმოიშვას მოკლე, საშუალო და გრძელვადიან პერიოდში. <i>ზემოქმედება</i> მიუთითებს მდგრად განვითარებაში საწარმოს უარყოფით ან დადებით წვლილზე.
Impact drivers ზემოქმედების გამომწვევი ფაქტორები	ნებისმიერი ფაქტორი, რომელიც იწვევს ბუნების, ანთროპოგენური აქტივების, ადამიანების ცხოვრებაში ბუნების წვლილისა და მათი ცხოვრების ხარისხის ცვლილებებს. ცვლილების გამომწვევი პირდაპირი ფაქტორები შეიძლება იყოს როგორც ბუნებრივი, ისე ანთროპოგენური. ისინი პირდაპირ ფიზიკურ (მექანიკური, ქიმიური, ხმაურით, სინათლით და ა.შ.) და ქვევაზე გავლენის მქონე <i>ზემოქმედებას</i> ახდენენ ბუნებაზე. ამგვარ ფაქტორებს, სხვადასხვა ერთად, განეკუთვნება კლიმატის ცვლილება, <i>დაბინძურება</i> , სხვადასხვაგვარი ცვლილება მიწათსარგებლობაში, ინვაზიური უცხო სახეობები და ზოონოზური დაავადებები, ასევე რესურსების გამოყენება. ზემოქმედების გამომწვევი არაპირდაპირი ფაქტორები მოქმედებენ დიფუზიურად როგორც პირდაპირი (მათ დონეზე, მიმართულებაზე ან ტემპზე), ისე არაპირდაპირი გამომწვევი ფაქტორების შეცვლის ან მათზე გავლენის მოხდენის გზით. პირდაპირ და არაპირდაპირ გამომწვევ ფაქტორებს შორის ურთიერთქმედება ქმნის ურთიერთობის, მიკუთვნებისა და <i>ზემოქმედების</i> სხვადასხვაგვარ კავშირებს, რომლებიც შეიძლება განსხვავდებოდეს ტიპის, ინტენსივობის, ხანგრძლივობისა და მანძილის მიხედვით. ამასთან, ასეთმა ურთიერთობებმა შეიძლება გამოიწვიოს სხვადასხვა სახის გვერდითი მოვლენა. გლობალური ხასიათის არაპირდაპირი გამომწვევი ფაქტორები მოიცავს ეკონომიკურ, დემოგრაფიულ, მმართველობასთან დაკავშირებულ, ტექნოლოგიურ და კულტურულ ფაქტორებს. არაპირდაპირ გამომწვევ ფაქტორებს შორის განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ინსტიტუტების (როგორც ფორმალურის, ისე არაფორმალურის) როლს და წარმოების, მიწოდების და მოხმარების მოდელების <i>ზემოქმედებას</i> ბუნებაზე, ბუნების მიერ ადამიანების ცხოვრებაში შეტანილ წვლილსა და მათი ცხოვრების ხარისხზე.
Impact materiality ზემოქმედების არსებითობა	მდგრადობის საკითხი ზემოქმედების თვალსაზრისით არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ იგი შეეხება საწარმოს მხრიდან ფაქტობრივ ან პოტენციურ, დადებით ან უარყოფით არსებით <i>ზემოქმედებას</i> ადამიანებზე ან გარემოზე მოკლე, საშუალო და გრძელვადიან პერიოდში. მდგრადობის არსებითი საკითხი ზემოქმედების თვალსაზრისით მოიცავს ისეთ <i>ზემოქმედებას</i> , რომელიც უკავშირდება საწარმოს საკუთარ ოპერაციებს და აღმავალ და დაღმავალ <i>ღირებულებათა ჯაჭვს</i> , მათ შორის მისი პროდუქციისა და მომსახურების, ან <i>საქმიანი ურთიერთობების</i> მეშვეობით.

15. ევროპარლამენტისა და საბჭოს 2006 წლის 20 დეკემბრის რეგულაცია (EC) No 1893/2006 - Regulation (EC) No 1893/2006 of the European Parliament and of the Council of 20 December 2006 establishing the statistical classification of economic activities NACE Revision 2 and amending Council Regulation (EEC) No 3037/90 as well as certain EC Regulations on specific statistical domains (OJ L 393, 30.12.2006, p. 1).
16. 2022 წლის 6 აპრილის კომისიის დელეგირებული რეგულაცია (EU) 2022/1288 - Commission Delegated Regulation (EU) 2022/1288 of 6 April 2022 supplementing Regulation (EU) 2019/2088 of the European Parliament and of the Council with regard to regulatory technical standards specifying the details of the content and presentation of the information in relation to the principle of 'do no significant harm', specifying the content, methodologies and presentation of information in relation to sustainability indicators and adverse sustainability impacts, and the content and presentation of the information in relation to the promotion of environmental or social characteristics and sustainable investment objectives in pre-contractual documents, on websites and in periodic reports (OJ L 196, 25.7.2022, p. 1).

Incident ინციდენტი	<p>საწარმოში ან კომპეტენტურ ორგანოებში შესაბამისი ოფიციალური პროცედურების დაცვით რეგისტრირებული სამართლებრივი ქმედება ან საჩივარი, ან დარღვევა, რომელიც საწარმოს მიერ დადგენილი პროცედურების მეშვეობით გამოვლინდა. დარღვევის შემთხვევების გამოსავლენად დადგენილი პროცედურები შეიძლება მოიცავდეს მართვის სისტემის აუდიტს, მონიტორინგის ოფიციალურ პროგრამებს, ან <i>საჩივრების მართვის მექანიზმებს</i>.</p>
Incineration ნარჩენების ინსინერაცია	<p>ნარჩენების კონტროლირებული წვა მაღალ ტემპერატურაზე, ენერჯის აღდგენით ან მის გარეშე.</p>
Independent board member საბჭოს დამოუკიდებელი წევრი	<p>საბჭოს წევრები, რომელთაც დასკვნები გამოაქვთ დამოუკიდებელი განსჯის საფუძველზე, რომელიც თავისუფალია ყოველგვარი გარეგანი გავლენის ან ინტერესთა კონფლიქტისაგან. ზოგადად, დამოუკიდებლობა ნიშნავს ობიექტურ, შეუზღუდავი განსჯის შესაძლებლობას. როდესაც ეს ტერმინი გამოიყენება დამოუკიდებლობის შთაბეჭდილების (გარეგნული დამოუკიდებლობის), ანდა <i>ადმინისტრაციული, მმართველი და საზედამბებლო ორგანოების</i> ან მათი კომიტეტების არააღმასრულებელი წევრების დამოუკიდებლობის შეფასების მიზნით, იგულისხმება ისეთი ინტერესის, პოზიციის, კავშირის ან ურთიერთობის არარსებობა, რომელსაც გონიერი და ინფორმირებული მესამე მხარე, სავარაუდოდ, მიიჩნევდა, რომ გადაწყვეტილების მიღების პროცესზე მიზანშეუწონელ გავლენას ახდენს ან მიკერძოებას იწვევს.</p>
Indigenous peoples მკვიდრი მოსახლეობა	<p>ტერმინისთვის <i>„მკვიდრი მოსახლეობა“</i> არ არსებობს საერთაშორისო დონეზე შეთანხმებული ერთი საერთო განმარტება. თუმცა, პრაქტიკაში, საერთაშორისო ორგანოებს ერთნაირი შეხედულება აქვთ იმასთან დაკავშირებით, თუ რომელი ჯგუფები შეიძლება მოიაზრობოდეს იმ <i>მკვიდრი მოსახლეობის</i> ცნებაში რომლებიც უნდა სარგებლობდნენ განსაკუთრებული დაცვით. <i>მკვიდრი მოსახლეობის</i> სტატუსის განსაზღვრის მნიშვნელოვანი კრიტერიუმია მათი კავშირი იმ ტერიტორიასთან, სადაც ისინი ტრადიციულად ცხოვრობენ, როგორც ეს განსაზღვრულია შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის N. 169 კონვენციით (მუხლი 1), რომელიც ადგენს, რომ კონვენცია ვრცელდება „ა) დამოუკიდებელ ქვეყნებში ტომობრივად მცხოვრებ ხალხებზე, რომელთა სოციალური, კულტურული და ეკონომიკური მდგომარეობა განასხვავებს მათ ეროვნული საზოგადოების სხვა წევრებისგან და რომელთა სტატუსი, მთლიანად ან ნაწილობრივ, რეგულირდება მათი საკუთარი ადათ-წესებით ან ტრადიციებით, ან სპეციალური კანონებითა თუ სხვა ნორმატიული აქტებით; ბ) დამოუკიდებელ ქვეყნებში მცხოვრებ იმ ხალხებზე, რომლებიც მკვიდრ მოსახლეობად მიიჩნევა მათი წარმომავლობითი კავშირების გამო იმ მოსახლეობასთან, რომელიც ბინადრობდა მოცემულ ქვეყანაში ან იმ გეოგრაფიულ რეგიონში, სადაც ეს ქვეყანა მდებარეობს დაპყრობის, კოლონიზაციის ან დღევანდელი საზღვრების დაწესების მომენტში და რომლებიც მათი სამართლებრივი სტატუსის მიუხედავად ინარჩუნებენ თავიანთ სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ და პოლიტიკურ ინსტიტუტებს, ნაწილობრივ ან მთლიანად.“ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის 169-ე კონვენცია (მუხლი 1(2)) ასევე ადგენს, რომ: „იმ ჯგუფების დასადგენად, რომლებზეც ამ კონვენციის დებულებები ვრცელდება, ძირითად კრიტერიუმად უნდა განიხილებოდეს მკვიდრი მოსახლეობის ან ტომობრივად მცხოვრები ჯგუფის წევრად პიროვნების თვითიდენტიფიკაცია.“</p>
Indirect GHG emissions სათბურის აირების არაპირდაპირი ემისიები	<p><i>სათბურის აირების ემისიები</i>, რომლებიც წარმოიქმნება სუბიექტის საქმიანობის შედეგად, მაგრამ მათი ემისია ხდება ისეთი წყაროებიდან, რომლებიც სხვა სუბიექტს ეკუთვნის ან რომლებსაც სხვა სუბიექტი აკონტროლებს. <i>არაპირდაპირ ემისიებს მიკუთვნება მე-2 და მე-3 კატეგორიის სათბურის აირების ემისიები</i>.</p>
Installation ტექნიკური	<p>უძრავი ტექნიკური ნაგებობა, რომლის შიგნით ერთი ან ერთზე მეტი ისეთი საქმიანობა ხორციელდება, რომელიც შეიძლება გავლენას ახდენდეს <i>ემისიებსა და დაბინძურებაზე</i>.</p>

მოწყობილობა	
Internal carbon price ნახშირბადის შიდა ფასი	ფასი, რომელსაც საწარმო იყენებს ინვესტიციების, წარმოებისა და მოხმარების ტენდენციების ცვლილებებით და ასევე პოტენციური ტექნოლოგიური პროგრესითა და <i>ემისიების</i> შემცირებისთვის მომავალში გასაწევი დანახარჯებით გამოწვეული ფინანსური შედეგების შესაფასებლად.
Internal carbon pricing scheme ნახშირბადის ფასწარმოქმნის შიდა სქემა	ორგანიზაციული მოწყობა/სტრუქტურა, რომელიც საწარმოს საშუალებას აძლევს, სტრატეგიულ და საოპერაციო გადაწყვეტილებებში გაითვალისწინოს ნახშირბადის ფასები. საწარმოები ჩვეულებრივ იყენებენ ორი ტიპის <i>ნახშირბადის შიდა ფასს</i> . პირველი ტიპია ჩრდილოვანი ფასი, რომელიც წარმოადგენს თეორიულ ღირებულებას ანუ პირობით ოდენობას, რომლის დაფარვა არ უწევს საწარმოს, მაგრამ მისი გამოყენება შესაძლებელია ისეთი მოვლენების ეკონომიკური შედეგების ან ალტერნატივების შესაფასებლად, როგორებიცაა რისკის <i>ზემოქმედება</i> , ახალი ინვესტიციები, პროექტების წმინდა დღევანდელი ღირებულება და სხვადასხვა ინიციატივის ხარჯთუპირატესობა. მეორე ტიპია შიდა გადასახადი ან მოსაკრებელი, რომელიც წარმოადგენს ნახშირბადის იმ ფასს, რომელიც მიეკუთვნება სამეწარმეო საქმიანობას, პროდუქციის ხაზს ან ბიზნესერთეულს მისი <i>სათბურის აირების ემისიების</i> საფუძველზე (ეს შიდა გადასახადები ან მოსაკრებლები საწარმოთა შიდა გადაცემის ფასების მსგავსია).
Invasive or alien species ინვაზიური ან უცხო სახეობები	სახეობები, რომელთა შეყვანა ან/და გავრცელება ადამიანის ქმედებებით მათი ბუნებრივი გავრცელების არეალის გარდა სხვა ტერიტორიაზე საფრთხეს უქმნის <i>ბიოლოგიურ მრავალფეროვნებას</i> , საკვების უსაფრთხოებას და ადამიანის ჯანმრთელობასა და კეთილდღეობას. ტერმინი „უცხო“ აღნიშნავს იმ სახეობებს, რომელთა შეყვანა მოხდა მათი ბუნებრივი გავრცელების არეალის გარდა სხვა ტერიტორიაზე („ეგზოტიკური“, „არაბორიგენული“, „არამკვიდრი“ წარმოადგენს „უცხოს“ სინონიმებს). ტერმინი „ინვაზიური“ გულისხმობს „იმ <i>ეკოსისტემაში</i> გავრცელებისა და მისი შეცვლისაკენ მიდრეკილ სახეობას, სადაც მოხდა მათი შეყვანა“. შესაბამისად, სახეობა შეიძლება იყოს უცხო, მაგრამ არ იყოს ინვაზიური. ან, მოცემული რეგიონის აბორიგენული სახეობა შეიძლება გავრცელდეს და გახდეს ინვაზიური მიუხედავად იმისა, რომ ის შეიძლება არ იყოს უცხო სახეობა.
Key Biodiversity Area (KBA) ბიომრავალფეროვნების ძირითადი ზონა	<i>საქმიანობის განხორციელების ადგილები</i> , რომლებსაც მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ გლობალური <i>ბიომრავალფეროვნების</i> სიცოცხლისუნარიანობაში, ხმელეთის, <i>მტკნარი წყლებისა</i> და ზღვის <i>ეკოსისტემებში</i> . <i>საქმიანობის განხორციელების ადგილი</i> კლასიფიცირდება <i>გლობალური ბიომრავალფეროვნების ძირითად ზონად</i> , თუ ის აკმაყოფილებს იმ 11 კრიტერიუმიდან ერთს ან რამდენიმეს, რომლებიც დაჯგუფებულია ხუთ კატეგორიად: საფრთხის ქვეშ მყოფი <i>ბიომრავალფეროვნება</i> , გეოგრაფიულად შეზღუდული <i>ბიომრავალფეროვნება</i> , <i>ეკოლოგიური მთლიანობა</i> , ბიოლოგიური პროცესები და შეუცვლელი <i>ბიომრავალფეროვნების ძირითადი ზონების</i> მსოფლიო მონაცემთა ბაზას მართავს BirdLife International, ორგანიზაციის „KBA Partnership“ სახელით.
Land degradation მიწის დეგრადაცია	პროცესები, რომლებიც იწვევს <i>ბიომრავალფეროვნების</i> , <i>ეკოსისტემის</i> ფუნქციების ან ადამიანებისთვის მათი სარგებლის შემცირებას ან დაკარგვას და მოიცავს ყველა სახის სახმელეთო <i>ეკოსისტემის დეგრადირებას</i> .
Landfill ნაგავსაყრელი	<i>ნარჩენების</i> უტილიზაციის <i>ადგილი</i> , სადაც ხდება <i>ნარჩენების</i> განთავსება მიწის ზედაპირზე ან მიწის ქვეშ ¹⁷ .
Land-system (change) მიწის სისტემა	დედამიწის სისტემის სახმელეთო ნაწილი, რომელიც მოიცავს ყველა იმ პროცესსა და საქმიანობას, რომელიც ადამიანის მიერ მიწის გამოყენებას უკავშირდება. ეს მოიცავს სოციალურ-ეკონომიკურ, ტექნოლოგიურ ან ორგანიზაციულ რესურსებსა

17. ევროპული საბჭოს 1999 წლის 26 აპრილის 1999/31/EC დირექტივის მე-2 მუხლის (გ) პუნქტი - Council Directive 1999/31/EC of 26 April 1999 on the landfill of waste (OJ L 182, 16.7.1999, p. 1).

(მიწის სისტემის ცვლილება)	და მოწყობის წესს, ასევე მიწისგან მიღებულ სარგებელს და საზოგადოებრივი საქმიანობის შედეგად მიღებულ გაუთვალისწინებელ სოციალურ და ეკონომიკურ შედეგებს. <i>მიწის სისტემების</i> ცნებაში ერთდროულად მოიაზრება მიწათსარგებლობა (მიწის გამოყენებასთან დაკავშირებული საქმიანობები, მოწყობის წესი და წვლილი) და მიწის საფარი (მიწის ფიზიკური მახასიათებლების ერთობლიობა, რომლებიც შემჩნევადია დედამიწაზე სატელიტური და სხვა ტიპის დაკვირვების შედეგად.
Land-use (change) მიწათსარგებლობა (მიწათსარგებლობის ცვლილება)	ადამიანის მიერ კონკრეტული ტერიტორიის გამოყენება გარკვეული მიზნით (მაგალითად, საცხოვრებლად, სოფლის მეურნეობისთვის, დასასვენებლად, მრეწველობისთვის და ა.შ.). მიწათსარგებლობა მნიშვნელობით ახლოს დგას მიწის საფართან, მაგრამ ეს ცნებები სინონიმები არ არის. <i>მიწათსარგებლობის ცვლილება</i> გულისხმობს ადამიანების მიერ მიწის გამოყენების ან მიწის მართვის პროცესის ისეთ ცვლილებას, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს მიწის საფარის ცვლილება.
Legitimate representatives კანონიერი წარმომადგენლები	კანონმდებლობის ან პრაქტიკის შესაბამისად კანონიერად აღიარებული პირები. მაგალითად, მომუშავეთა შემთხვევაში, პროფკავშირის არჩეული წარმომადგენლები ან ზემოქმედების ქვეშ მყოფ <i>დაინტერესებულ მხარეთა</i> სხვა წარმომადგენლები, რომლებიც არჩეულნი არიან თავისუფალი არჩევნების საფუძველზე.
Leverage ზემოქმედების ბერკეტი	საწამოს უნარი, შეცვალოს სხვა მხარის არასამართლებრივი ქმედებები/პრაქტიკა, რომელიც დაკავშირებულია მდგრად განვითარებაზე უარყოფით ზემოქმედებასთან.
Lobbying activities ლობისტური საქმიანობა	ნებისმიერი საქმიანობა, რომელიც ხორციელდება პოლიტიკის ან კანონმდებლობის ჩამოყალიბებაზე ან დანერგვაზე, ან მთავრობების, სამთავრობო ინსტიტუტების, მარეგულირებლების, ევროკავშირის ინსტიტუტების, ორგანოების, ოფისებისა და დაწესებულებების, ან სტანდარტების დამდგენი ორგანოების გადაწყვეტილების მიღების პროცესებზე გავლენის მოხდენის მიზნით. ამგვარ საქმიანობას, სხვასთან ერთად, განეკუთვნება მაგალითად: i. შეხვედრების, კონფერენციების, ღონისძიებების მოწყობა ან მათში მონაწილეობა; ii. საჯარო კონსულტაციებში, განხილვებში ან სხვა მსგავს ინიციატივებში წვლილის შეტანა ან მონაწილეობა. iii. საკომუნიკაციო კამპანიების, პლატფორმების, ქსელების, მასობრივი ინიციატივების ორგანიზება; iv. პოლიტიკისა და პოზიციის განმსაზღვრელი დოკუმენტების მომზადება, საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვების, გამოკვლევების, ღია წერილების, კვლევითი სამუშაოების მომზადება/ჩატარება ან ამგვარი საქმიანობის განხორციელების მოთხოვნა იმ აქტივობების შესაბამისად, რომლებიც გათვალისწინებულია გამჭვირვალობის რეესტრის წესებში.
Locked-in GHG emissions სათბურის აირების პოტენციური/სამომავლო ემისიები	<i>სათბურის აირების</i> ისეთი მომავალი <i>ემისიების</i> წინასწარი შეფასება, რომლებიც, სავარაუდოდ, გამოწვეული იქნება საწარმოს ძირითადი აქტივებით ან მათი საექსპლუატაციო ვადის განმავლობაში გაყიდული პროდუქციით.
Longevity ხანგრძლივობა	ექსპლუატაციისა და <i>მომსახურების ვადის</i> თვალსაზრისით იმგვარად დაპროექტებული, რომ შესაძლებელი ხდება მისი იმაზე ხანგრძლივად და ისეთი მასშტაბით გამოყენება, რასაც ითვალისწინებს მოქმედი სამრეწველო სტანდარტი და ამავე დროს მომსახურების/ექსპლუატაციის ვადის ბოლოს ცირკულარული გამოყენების პროცესს საფრთხე არ ექმნება.
Marine resources საზღვაო რესურსები	ზღვებსა და ოკეანეებში არსებული ბიოლოგიური და არაბიოლოგიური რესურსები, მათ შორის, ღრმა წყლების მინერალები, მსხვილი ქვიშა და ზღვის პროდუქტები.

Material opportunities არსებითი შესაძლებლობები	მდგრადობასთან დაკავშირებული შესაძლებლობები დადებითი ფინანსური შედეგებით , რაც არსებით გავლენას ახდენს (ან სავსებით შესაძლებელია, რომ მოახდინოს) საწარმოს ფულად ნაკადებზე, დაფინანსების ხელმისაწვდომობაზე ან კაპიტალის ღირებულებაზე მოკლე, საშუალო და გრძელვადიან პერიოდში.
Material risks არსებითი რისკები	მდგრადობასთან დაკავშირებული რისკები უარყოფითი ფინანსური შედეგებით , რაც არსებით გავლენას ახდენს (ან სავსებით შესაძლებელია, რომ მოახდინოს) საწარმოს ფულად ნაკადებზე, დაფინანსების ხელმისაწვდომობაზე ან კაპიტალის ღირებულებაზე მოკლე, საშუალო და გრძელვადიან პერიოდში.
Materiality არსებითობა	მდგრადობის საკითხი არსებითია, თუ იგი შეესაბამება ზემოქმედების არსებითობის, ფინანსური არსებითობის ან ორივე მათგანის განმარტებას.
Metrics მდგრადობის მაჩვენებლები	ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლები, რომლებსაც საწარმო იყენებს მდგრადობასთან დაკავშირებული პოლიტიკის რეალიზებისა და გარკვეული პერიოდის განმავლობაში თავისი სამიზნე მაჩვენებლების შესრულების ეფექტიანობის შეფასებისა და მასზე ანგარიშის წარდგენის მიზნებისთვის. გარდა ამისა, მდგრადობის მაჩვენებლები საწარმოს ეხმარება მდგრადობასთან დაკავშირებული საქმიანობით მიღებული ისეთი შედეგების შეფასებაშიც, რომლებიც დაკავშირებულია ზემოქმედების ქვეშ მყოფ ადამიანებთან, გარემოსთან და თავად საწარმოსთან.
Microplastics მიკროპლასტმასა	პლასტმასის მცირე, ჩვეულებრივ 5 მმ-ზე ნაკლები ზომის, ნაწილები. შეინიშნება მიკროპლასტმასების მოცულობის ზრდა გარემოში, მათ შორის ზღვებში, საკვებსა და სასმელ წყალში. გარემოში მოხვედრისას მიკროპლასტმასების ბიოდეგრადირება არ ხდება. იგი ყოველთვის გროვდება გარემოში, თუკი სპეციალურად არ არის შექმნილი იმგვარად, რომ შესაძლებელი იყოს ღია გარემოში მისი ბიოდეგრადირება. ბიოდეგრადირება რთული ფენომენია, განსაკუთრებით საზღვაო გარემოში. მზარდი შემფოთების საგანია მიკროპლასტმასების არსებობა გარემოს სხვადასხვა ზონაში (მაგალითად, წყალში), ასევე მისი ზეგავლენა გარემოზე და პოტენციურად – ადამიანის ჯანმრთელობაზე.
Minimum Disclosure Requirement გამჟღავნების მინიმალური მოთხოვნები	ინფორმაციის გამჟღავნების მინიმალური მოთხოვნები ადგენს იმ აუცილებელი ინფორმაციის შინაარსს, რომელიც საწარმომ უნდა ჩართოს თავისი პოლიტიკის, ქმედებების, მდგრადობის მაჩვენებლების ან სამიზნე მაჩვენებლების შესახებ ინფორმაციის წარდგენისას, მდგრადობის ანგარიშგების ამა თუ იმ სტანდარტით გათვალისწინებული ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნების ან სუბიექტისთვის დადგენილი კონკრეტული მოთხოვნების საფუძველზე.
Natural resources ბუნებრივი რესურსები	ბუნებაში არსებული ბუნებრივი აქტივები (ნედლეული), რომელთა გამოყენება შესაძლებელია ეკონომიკური წარმოების ან მოხმარების მიზნით.
Nature-based solutions ბუნების დამზოგავი გადაწყვეტილებები	ქმედებები , რომლებიც ხორციელდება ბუნებრივი ან შეცვლილი სახმელეთო ეკოსისტემების, მტკნარი წყლების , სანაპირო და საზღვაო ეკოსისტემების დაცვის, კონსერვაციის, აღდგენის, მდგრადი გამოყენებისა და მართვის მიზნით და სოციალურ, ეკონომიკურ და ეკოლოგიურ გამოწვევებთან ადვილად ადაპტირების და ეფექტიანად რეაგირების საშუალებას იძლევა. ამასთან ერთდროულად უზრუნველყოფს ადამიანის კეთილდღეობას, ეკოსისტემურ მომსახურებას , მედეგობას და ბიომრავალფეროვნებასთან დაკავშირებულ სიკეთეებს.
Net-zero target წმინდა ნულოვანი სამიზნე მაჩვენებელი	ემისიების წმინდა ნულოვანი სამიზნე მაჩვენებლის განსაზღვრა მთელი საწარმოსთვის, რომელიც შესაბამისობაშია კლიმატის მიმართ საზოგადოების მიზნებთან, ნიშნავს: i. ღირებულებათა ჯაჭვის ემისიების იმ დონეზე შემცირებას, რომელიც შეესაბამება გლობალური დათბობის ზრდის 1.5°C-მდე შეზღუდვის მისაღწევად აუცილებელ შემცირების დონეს; და

	ii. ნარჩენი <i>ემისიების</i> ზემოქმედების განეიტრალებას (<i>სათბურის აირების</i> ემისიების დაახლოებით 90-95%-ით <i>შემცირების</i> შემდეგ სექტორის ფარგლებში აღიარებული დასაბუთებული სექტორული ცვალებადობის შესაძლებლობით, რომელიც შეესაბამება მოცემული დარგისთვის დადგენილ სტანდარტს) გამოფრქვეული CO ₂ -ის ეკვივალენტური მოცულობის მუდმივად მოცილების გზით.
Non-employees შტატგარეშე დასაქმებულები	<i>შტატგარეშე დასაქმებულებს</i> , რომლებიც საწარმოს <i>საკუთარ სამუშაო ძალაში</i> მოიაზრება, მიეკუთვნება როგორც ინდივიდუალური კონტრაქტორები, რომლებიც საწარმოსთვის ასრულებენ სამუშაოს (თვითდასაქმებული ადამიანები), ისე ადამიანები, რომელთა კანდიდატურის წარდგენა მოცემულ სამუშაოზე განხორციელდა „დასაქმების საქმიანობით“ დაკავებული სუბიექტების მიერ (NACE Code N78)).
Non-renewable energy არაგანახლებადი ენერჯია	ენერჯია, რომლის მიჩნევა შეუძლებელია განახლებადი წყაროებიდან მიღებულ ენერჯიად.
Operational control საოპერაციო კონტროლი	საოპერაციო კონტროლი (ამა თუ იმ სუბიექტზე, <i>საქმიანობის განხორციელების ადგილზე</i> , ოპერაციაზე ან აქტივზე) არის სიტუაცია, როდესაც საწარმოს აქვს შესაძლებლობა, წარმართოს კონკრეტულ სუბიექტთან, <i>საქმიანობის განხორციელების ადგილთან</i> , ოპერაციასა და აქტივთან დაკავშირებული საოპერაციო საქმიანობა და ურთიერთობები.
Opportunities შესაძლებლობები	<i>მდგრადობასთან დაკავშირებული შესაძლებლობები</i> , რომლებიც იწვევს დადებით ფინანსურ შედეგებს.
Overtime ზეგანაკვეთური დრო	მომუშავის მიერ რეალურად ნამუშევარი საათების ოდენობა, რომელიც აღემატება მასთან გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სამუშაო საათებს.
Own workforce/own workers საკუთარი სამუშაო ძალა/საკუთარი მომუშავეები	<i>დასაქმებულები</i> , რომლებიც შრომით ურთიერთობაში არიან საწარმოსთან („ <i>დასაქმებულები</i> “) და <i>შტატგარეშე დასაქმებულები</i> , რომლებიც არიან ან ინდივიდუალური კონტრაქტორები, რომლებიც საწარმოსთვის ასრულებენ სამუშაოს (თვითდასაქმებული ადამიანები) ან ადამიანები, რომელთა კანდიდატურის წარდგენა მოცემულ სამუშაოზე განხორციელდა „დასაქმების საქმიანობით“ დაკავებული სუბიექტების მიერ (NACE Code N78)).
Ozone-depleting substances ოზონდამშლელი ნივთიერებები	<i>ნივთიერებები</i> , რომლებიც ჩამოთვლილია მონრეალის პროტოკოლში „ოზონის შრის დამშლელი ნივთიერებების შესახებ“.
Packaging შესაფუთი მასალა	ნებისმიერი სახის მასალისგან დამზადებული პროდუქცია, რომელიც გამოიყენება საქონლის მოთავსების, დაცვის, მოვლის, მიწოდების, შენახვის, ტრანსპორტირების და წარდგენისთვის, <i>ნედლეულიდან</i> დაწყებული გადამამუშავებული საქონლის დამთავრებული, მწარმოებლიდან <i>მომხმარებელამდე</i> ¹⁸ .
Pay ანაზღაურება	ჩვეულებრივი ძირითადი ან მინიმალური <i>ხელფასი</i> ან სარგო და ნებისმიერი სხვა სახის საზღაური, ფულადი ან სხვა სახის, რომელსაც მომუშავე დასაქმებისთვის იღებს პირდაპირ ან არაპირდაპირ თავისი დამსაქმებლისგან („დამატებითი ან ცვლადი კომპონენტები“). „ <i>ანაზღაურების</i> დონე“ ნიშნავს ბრუტო წლიურ ანაზღაურებას და შესაბამის ბრუტო საათობრივ ანაზღაურებას. „ <i>ანაზღაურების</i> საშუალო დონე“ გულისხმობს დასაქმებულის ანაზღაურების იმ ოდენობას,

18. ევროპარლამენტისა და საბჭოს 1994 წლის 20 დეკემბრის 94/62/EC დირექტივის „შესაფუთი მასალისა და შესაფუთი მასალის ნარჩენების შესახებ“ 3(1) მუხლი - Directive 94/62/EC of the European Parliament and of the Council of 20 December 1994 on packaging and packaging waste (OJ L 365, 31.12.1994, p. 10).

	რომელზე მეტსაც გამოიმუშავებს დასაქმებულთა ნახევარი და რომელზე ნაკლებსაც გამოიმუშავებს დასაქმებულთა მეორე ნახევარი.
Persons with disabilities შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები	პირები, რომელთაც აქვთ გრძელვადიანი ფიზიკური, სულიერი, გონებრივი ან სენსორული დარღვევა, რომელმაც, სხვადასხვა დაბრკოლებასთან ურთიერთქმედებისას, შეიძლება შეაფერხოს მათი სრული და ეფექტიანი მონაწილეობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში სხვების თანაბრად.
Physical risks ფიზიკური რისკები	ყველა საერთაშორისო ეკონომიკური საწარმო დამოკიდებულია დედამიწის სისტემის ფუნქციონირებაზე, მაგალითად, სტაბილურ კლიმატსა და ეკოსისტემურ მომსახურებაზე , როგორცაა, მაგალითად, ბიომასით (ნედლეულით) უზრუნველყოფა. ბუნებასთან დაკავშირებული ფიზიკური რისკები ბუნებაზე ორგანიზაციის დამოკიდებულების პირდაპირი შედეგია. ფიზიკური რისკები წარმოიშობა მაშინ, როდესაც საფრთხის ქვეშ დგება ბუნებრივი სისტემები კლიმატური მოვლენების (მაგ., ექსტრემალური ამინდი, როგორცაა გვალვა) და გეოლოგიური (სეისმური მოვლენები, როგორცაა მიწისძვრა) მოვლენების ანდა ეკოსისტემის წონასწორობასთან დაკავშირებული მოვლენების ან ცვლილებების გამო, როგორცაა, მაგალითად, ნიადაგის ხარისხი ან საზღვაო ეკოლოგია, რომელიც გავლენას ახდენს იმ ეკოსისტემურ მომსახურებაზე , რომელზეც ორგანიზაციები არიან დამოკიდებულები. რისკი შეიძლება იყოს მწვავე, ქრონიკული, ან ერთდროულად ისეთი და ასეთი. ბუნებასთან დაკავშირებული ფიზიკური რისკები წარმოიშობა იმ ბიოტური (ცოცხალი) და აბიოტური (არაცოცხალი) გარემო პირობების ცვლილების შედეგად, რომლებიც უზრუნველყოფს ჯანსაღი ეკოსისტემების არსებობას. ფიზიკური რისკები ჩვეულებრივ კონკრეტული ადგილმდებარეობისთვისაა დამახასიათებელი. ბუნებასთან დაკავშირებული ფიზიკური რისკები ხშირად კლიმატთან დაკავშირებულ ფიზიკურ რისკებთან ასოცირდება.
Planetary boundaries პლანეტარული საზღვრები	ეს ცნება საშუალებას იძლევა, შეფასდეს დედამიწის ფუნქციონირების თვალსაზრისით კაცობრიობისთვის უსაფრთხო სამოქმედო სივრცე. დადგენილია დედამიწის სისტემის თითოეული ძირითადი პროცესის სასაზღვრო დონე, რომელიც არ უნდა დაირღვეს, თუკი გვსურს მიუღებელი გლობალური ეკოლოგიური ცვლილებების თავიდან აცილება.
Policy პოლიტიკა	ზოგადი მიზნებისა და მართვის პრინციპების ნაკრები ან სტრუქტურული საფუძვლები, რასაც საწარმო გადაწყვეტილების მისაღებად იყენებს. პოლიტიკის საშუალებით საწარმო პრაქტიკულად ახორციელებს მდგრადობის არსებით საკითხებთან დაკავშირებულ სტრატეგიას ან მართვის გადაწყვეტილებებს. თითოეული პოლიტიკა წინასწარ განსაზღვრული ადამიან(ებ)ის პასუხისმგებლობის სფეროს განეკუთვნება, ადგენს გამოყენების საზღვრებს და მოიცავს ერთ ან ერთზე მეტ მიზანს (როდესაც შესაძლებელია, იგი უკავშირდება შეფასებად სამიზნე მაჩვენებლებს). პოლიტიკის დამტკიცება და გადახედვა ხდება საწარმოში მოქმედი შესაბამისი მმართველობითი წესების შესაბამისად. პოლიტიკის პრაქტიკაში რეალიზება ხდება გარკვეული ქმედებების ან სამოქმედო გეგმების საშუალებით.
Pollutant დამბინძურებელი	ჰაერში, წყალში ან ნიადაგში არსებული ნივთიერება , ვიბრაცია, სითბო, ხმაური, სინათლე ან სხვა დამბინძურებლები, რომელიც შეიძლება საზიანო იყოს ადამიანის ჯანმრთელობისთვის ან/და გარემოსთვის, რამაც შეიძლება გამოიწვიოს მატერიალური ქონების დაზიანება ან ხელი შეუშალოს და ზიანი მიაყენოს კეთილმოწყობას და გარემოს ლეგიტიმური გამოყენების სხვა შესაძლებლობას ¹⁹ .
Pollution დაბინძურება	ჰაერში, წყალში ან ნიადაგში ადამიანის ქმედების შედეგად, პირდაპირ ან არაპირდაპირ, ისეთი დამბინძურებლების შეყვანა, რომელიც შეიძლება საზიანო იყოს ადამიანის ჯანმრთელობისთვის ან/და გარემოსთვის, რამაც შეიძლება გამოიწვიოს მატერიალური ქონების დაზიანება ან ხელი შეუშალოს და ზიანი მიაყენოს

19. (EU) 2020/852 რეგულაციის 2(10) მუხლი - Regulation (EU) 2020/852 on the establishment of a framework to facilitate sustainable investment.

	კეთილმოწყობას და გარემოს ლეგიტიმური გამოყენების სხვა შესაძლებლობას ²⁰ .
Pollution of soil წიადაგის დაზიანებულობა	ადამიანის ქმედების შედეგად <i>წიადაგში</i> ისეთი <i>წივთიერებების</i> , ვიბრაციების, სითბოს ან ხმაურის შეყვანა, რომელიც შეიძლება საზიანო იყოს ადამიანის ჯანმრთელობისთვის ან/და გარემოსთვის, რამაც შეიძლება გამოიწვიოს მატერიალური ქონების დაზიანება ან ხელი შეუშალოს და ზიანი მიაყენოს კეთილმოწყობას და გარემოს ლეგიტიმური გამოყენების სხვა შესაძლებლობას, იმის მიუხედავად, საწარმოს <i>საქმიანობის განხორციელების ადგილზე</i> ხდება ეს თუ მის გარეთ, თუ საწარმოს პროდუქციის ან/და მომსახურების გამოყენების გზით. ²¹ <i>წიადაგის დამზინებულობებს</i> მიეკუთვნება <i>არაორგანული დამზინებულობები</i> , მდგრადი ორგანული <i>დამზინებულობები</i> , პესტიციდები, აზოტისა და ფოსფორის ნაერთები და სხვ.
Protected area დაცული ტერიტორია	მკაფიოდ განსაზღვრული გეოგრაფიული სივრცე, რომელიც აღიარებულია, გამოყოფილია და იმართება სამართლებრივი ან სხვა ქმედითი საშუალებებით, რათა გრძელვადიან პერსპექტივაში მიღწეულ იქნეს ბუნების, მასთან დაკავშირებული <i>ეკოსისტემური მომსახურებისა</i> და კულტურული ღირებულებების კონსერვაცია.
Purchased or acquired electricity, heat, steam, or cooling შესყიდული ან მიღებული ელექტროენერჯია, სითბო, ორთქლი ან გაგრილება	როდესაც საწარმო მესამე მხარისგან იღებს ელექტროენერჯიას, სითბოს, ორთქლს ან გაგრილებას. ტერმინი „მიღებული“ ასახავს ისეთ გარემოებას, როდესაც საწარმომ შეიძლება პირდაპირ არ შეისყიდოს ელექტროენერჯია (მაგ., შენობის მოიჯარემ), მაგრამ ეს ენერჯია შევიდეს საწარმოს ობიექტში მისი გამოყენების მიზნით.
Raw material ნედლეული	პირველადი ან მეორადი მასალა, რომელიც გამოიყენება პროდუქციის წარმოებისთვის.
Recognised quality standards for carbon credits ხარისხის აღიარებული სტანდარტები ნახშირბადის კრედიტისთვის	<i>ნახშირბადის კრედიტისთვის</i> დადგენილი ხარისხის სტანდარტები, რომლებიც ექვემდებარება დამოუკიდებელი მესამე მხარის მიერ შემოწმებას, საჯაროდ ხელმისაწვდომს ხდის პროექტის მოთხოვნებსა და ანგარიშებს და, სულ მცირე, უზრუნველყოფს დამატებითობას, მუდმივობას, ორმაგი აღრიცხვის თავიდან აცილებას და მოიცავს პროექტის <i>სათბურის აირების ემისიებისა</i> და მოცილების გამოთვლის, მონიტორინგის და შემოწმების წესებს.
Recordable work-related injury or ill health სამუშაოსათან დაკავშირებული აღრიცხვადი ტრავმა ან გაუარესებული ჯანმრთელობა	სამუშაოსთან დაკავშირებული ტრავმა ან გაუარესებული ჯანმრთელობა, რაც იწვევს რომელიმე ქვემოთ ჩამოთვლილ შედეგს: i. გარდაცვალება, დროებითი შრომისუუნარობის გამო სამუშაო დღეების გაცდენა, შეზღუდული მუშაობა ან სხვა სამუშაოზე გადაყვანა, პირველადი დახმარების გარდა სხვა სახის მკურნალობა ან გონების დაკარგვა; ან ii. სერიოზული ტრავმა ან გაუარესებული ჯანმრთელობა, რომლის დიაგნოზი დასმულია ექიმის ან ჯანდაცვის სხვა ლიცენზირებული სპეციალისტის მიერ, მაშინაც კი თუ იგი არ იწვევს გარდაცვალებას, დროებითი შრომისუუნარობის გამო სამუშაო დღეების გაცდენას, შეზღუდულ მუშაობას ან სხვა სამუშაოზე გადაყვანას, პირველადი დახმარების გარდა რაიმე სხვა სახის მკურნალობას ან გონების დაკარგვას.

20. „სამრეწველო ემისიების შესახებ“ დირექტივა 2010/75/EU - Directive 2010/75/EU on industrial emissions (IED).

21. 2010 წლის 24 ნოემბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2010/75/EU დირექტივა სამრეწველო ემისიების შესახებ _ 2010/75/EU - Directive 2010/75/EU on industrial emissions (IED).

Recovery აღდგენა	ნებისმიერი საქმიანობა, რომლის ძირითადი შედეგია <i>ნარჩენები</i> , რომლებიც განკუთვნილია რაიმე სასარგებლო მიზნით გამოყენებისთვის სხვა მასალის ჩანაცვლებით, რომელიც სხვა შემთხვევაში გამოყენებული იქნებოდა ამა თუ იმ კონკრეტული ფუნქციის შესასრულებლად, ან <i>ნარჩენები</i> , რომელთა წინასწარი დამუშავება ხდება კონკრეტული ფუნქციის შესასრულებლად ქარხანაში ან უფრო ფართო ეკონომიკის ფარგლებში ²² .
Recycling რეციკლირება	აღდგენითი ღონისძიება, რომლის საშუალებითაც <i>ნარჩენი</i> ისეთ პროდუქტად, მასალად ან <i>ნივთიერებად</i> გარდაიქმნება, რომელიც განკუთვნილია თავდაპირველი დანიშნულებით ან სხვა მიზნით გამოყენებისთვის. რეციკლირება მოიცავს ორგანული მასალების გადამუშავებას, მაგრამ არ მოიცავს ენერჯის აღდგენას და მათ ისეთ მასალებად გარდაქმნას, რომლებიც საწვავად ან თხრილების ამოსავსებად გამოიყენება.
Resource regeneration რესურსების რეგენერაცია	ბუნებრივი სისტემების თვითგანახლების უნარის ხელშეწყობა, ადამიანის ქმედებით დაზიანებული ან ჭარბად გამოყენებული ეკოლოგიური პროცესების ხელახლა გააქტიურების/განახლების მიზნით.
Remedy/remediation რემედიაციის საშუალება/რემედიაცია	უარყოფითი ზემოქმედებისთვის ხელის შეშლა ან მისი გამოსწორება. ამის მაგალითებია: ბოდიშის მოხდა, ფინანსური ან არაფინანსური კომპენსაცია, ზიანის პრევენცია ამკრძალავი ნორმით/სასამართლო აკრძალვით ან განმეორების თავიდან აცილების გარანტიებით, სადამსჯელო სანქციები (როგორც სისხლის სამართლის, ისე ადმინისტრაციული, მაგალითად, ჯარიმები), რესტიტუცია, რესტავრაცია, რეაბილიტაცია.
Renewable energy განახლებადი ენერჯია	არაწიაღისეული წყაროებიდან მიღებული განახლებადი ენერჯია, კერძოდ, ქარის, მზის (მზის თერმული და მზის ფოტოელექტრული) და გეოთერმული ენერჯია, გარემოს/ჰაერის ენერჯია, ზღვის მოქცევის, ტალღების და ოკეანიდან მიღებული სხვა სახის ენერჯია, ჰიდროენერჯეტიკა, ბიომასა, <i>ნავსაყრელოზე წარმოქმნილი</i> აირი, საკანალიზაციო (წყალარინების) სისტემის გამწმენდ ნაგებობებში წარმოქმნილი აირი და ბიოაირი ²³ .
Renewable materials განახლებადი მასალები	ისეთი რესურსებიდან მიღებული მასალები, რომლებიც სწრაფად ივსება ხელახლა ეკოლოგიური ციკლის ან სოფლის მეურნეობის პროცესების შედეგად ისე, რომ ამ და სხვა დაკავშირებული რესურსებიდან მიღებულ მომსახურებას საფრთხე არ ემუქრება და ხელმისაწვდომი რჩება შემდგომი თაობისთვის.
Resource inflows შემოდინებული რესურსი	რესურსი, რომელიც შედის საწარმოს ობიექტებში.
Resource outflows გადინებული რესურსი	რესურსი, რომელიც ტოვებს საწარმოს ობიექტებს.
Resource use optimisation	მასალებისა და პროდუქტების დაპროექტება, წარმოება და დისტრიბუცია

22. „ნარჩენების შესახებ“ 2008/98/EC დირექტივის 3(15) მუხლი - Directive 2008/98/EC on waste.

23. ევროპარლამენტისა და საბჭოს 2018 წლის 11 დეკემბრის (EU) 2018/2001 დირექტივის 2(1) მუხლი - Directive (EU) 2018/2001 of the European Parliament and of the Council of 11 December 2018 on the promotion of the use of energy from renewable sources Directive (EU) 2018/2001 of the European Parliament and of the Council of 11 December 2018 on the promotion of the use of energy from renewable sources (OJ L 328, 21.12.2018, p. 82).

რესურსების გამოყენების ოპტიმიზაცია	გამოყენებისას მათი ღირებულების მაქსიმალურად შენარჩუნების მიზნით. რესურსების გამოყენების ოპტიმიზაციის მეთოდების მაგალითებია: ეკოდიზაინი/კონსტრუქცია, დიზაინი/კონსტრუქცია/მოდელი, რომელიც უზრუნველყოფს პროდუქტის მომსახურების <i>ხანგრძლივობას</i> , შეკეთებას, <i>ხელახლა გამოყენებას</i> , სხვა დანიშნულებით გამოყენებას, დემონტაჟს, წარმოებაში ხელახლა ჩაშვებას.
Reuse ხელახალი გამოყენება	ნებისმიერი პროცესი, რომლის მეშვეობით პროდუქტები და კომპონენტები, რომლებიც არ წარმოადგენს <i>ნარჩენებს</i> , ხელახლა გამოიყენება თავდაპირველი დანიშნულებით. ეს შეიძლება მოიცავდეს გაწმენდას ან მცირე კორექტირებას, რათა იგი მზად იყოს შემდგომი გამოყენებისთვის მნიშვნელოვანი ცვლილების გარეშე.
River basin მდინარის აუზი	დედამისწის ზედაპირული ნაწილი, საიდანაც მთელი ზედაპირული ჩამონადენი წყალი ნაკადულების, მდინარეების და, შესაძლოა, ტბების მეშვეობით გარკვეული თანამიმდევრობით ჩაედინება ზღვაში მდინარის ერთი შესართავის, ესტუარის ან დელტის მეშვეობით.
Risks რისკები	უარყოფითი <i>ფინანსური შედეგის</i> მქონე <i>მდგრადობასთან დაკავშირებული, რისკები</i> , რომლებიც წარმოიქმნება ისეთი გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი საკითხებიდან, რომლებმაც შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინოს საწარმოს ფინანსურ მდგომარეობაზე, მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებზე, ფულად ნაკადებზე, დაფინანსების ხელმისაწვდომობაზე ან კაპიტალის ღირებულებაზე მოკლე, საშუალო და გრძელვადიან პერიოდში.
Scenario სცენარი	მომავლის განვითარების შესაძლო სურათის სარწმუნო აღწერა, რომელიც ეფუძნება ძირითადი მამოძრავებელი ძალების (მაგ., ტექნოლოგიური ცვლილებების დონე, ფასები) და ურთიერთობების შესახებ ლოგიკურად თანამიმდევრულ, ურთიერთდაკავშირებულ და შინაგანად თავსებად დაშვებებს. გასათვალისწინებელია, რომ <i>სცენარი</i> არ წარმოადგენს გრძელვადიან ან მოკლევადიან პროგნოზს, არამედ იგი გამოიყენება მოვლენებითა და <i>ქმედებებით</i> განპირობებული შედეგების შესახებ გარკვეული ხედვის შესაქმნელად.
Scenario analysis სცენარის ანალიზი	მომავალი მოვლენების პოტენციური შედეგების დიაპაზონის იდენტიფიცირებისა და შეფასების პროცესი გაურკვეველობის პირობებში.
Scope 1 GHG emissions 1-ელი კატეგორიის სათბურის აირების ემისიები	ისეთი წყაროებიდან წარმოქმნილი <i>სათბურის აირების</i> პირდაპირი ემისიები, რომლებიც საწარმოს ეკუთვნის ან რომლებსაც საწარმო აკონტროლებს.
Scope 2 GHG emissions მე-2 კატეგორიის სათბურის აირების ემისიები	არაპირდაპირი ემისიები, რომლებიც წარმოიქმნება საწარმოს მიერ <i>შესყიდული ან მიღებული ელექტროენერჯის, სითბოს, ორთქლის ან გაგრილების</i> მომსახურების მოხმარების შედეგად.
Scope 3 GHG emissions მე-3 კატეგორიის სათბურის აირების ემისიები	<i>სათბურის აირების</i> ყველა არაპირდაპირი ემისია (რომელიც არ შედის მე-2 კატეგორიის ემისიებში), რომლებიც წარმოიქმნება ანგარიშვალდებული საწარმოს აღმავალ და დაღმავალ ღირებულებათა <i>ჯაჭვში</i> . მე-3 კატეგორიის ემისიები შეიძლება, თავის მხრივ, კიდევ დაიყოს მე-3 კატეგორიის კლასებად.
Scope 3 category მე-3 კატეგორიის ემისიების კლასი	<i>სათბურის აირების მე-3 კატეგორიის ემისიების</i> 15 ტიპიდან ერთ-ერთი, რომელიც განსაზღვრულია <i>სათბურის აირების</i> პროტოკოლის კორპორაციული სტანდარტით და დეტალურად არის აღწერილი <i>სათბურის აირების</i> პროტოკოლის კორპორაციული ღირებულებათა <i>ჯაჭვის (მე-3 კატეგორია)</i> აღრიცხვისა და ანგარიშგების სტანდარტში (ადაპტირებული სათბურის აირების პროტოკოლის კორპორაციული

	ღირებულებათა ჯაჭვის (მე-3 კატეგორია) აღრიცხვისა და ანგარიშგების სტანდარტი, გლოსარი (2011 წლის ვერსია)). საწარმოებს, რომლებიც მე-3 კატეგორიის ემისიების აღრიცხვას აირჩევენ სათბურის აირების არაპირდაპირი ემისიების კლასების საფუძველზე ISO 14064-1:2018-ის შესაბამისად, ასევე შეუძლიათ ISO 14064-1:2018-ის 5.2.4 მუხლში განმარტებული კლასების გამოყენება (გარდა იმპორტირებული ენერგიიდან წარმოქმნილი სათბურის აირების არაპირდაპირი ემისიებისა).
Sensitive information სენსიტიური ინფორმაცია	სენსიტიური ინფორმაცია , „ევროპის თავდაცვის ფონდის ჩამოყალიბების შესახებ“ ევროპარლამენტისა და საბჭოს (EU) 2021/697 რეგულაციაში მოცემული განმარტების მიხედვით. ²⁴
Site საქმიანობის განხორციელების ადგილი	ერთი ან რამდენიმე ფიზიკური ტექნიკური მოწყობილობის ადგილმდებარეობა. როდესაც არსებობს ერთზე მეტი ფიზიკური ტექნიკური მოწყობილობა , რომელიც ერთსა და იმავე ან სხვადასხვა მესაკუთრეს ან ოპერატორს ეკუთვნის და გარკვეული ინფრასტრუქტურა ან ნაგებობა საზიაროა, მთლიანი ტერიტორია, სადაც ეს ფიზიკური ტექნიკური მოწყობილობა მდებარეობს, შესაძლოა მიჩნეული იყოს საქმიანობის განხორციელების ადგილად .
Social dialogue სოციალური დიალოგი	ნებისმიერი სახის მოლაპარაკება, კონსულტაცია ან უბრალოდ ინფორმაციის გაცვლა მთავრობების, დამსაქმებლების, მათი ორგანიზაციების წარმომადგენლებსა და მომუშავეთა წარმომადგენლებს შორის, რომელიც ეხება ეკონომიკურ და სოციალურ პოლიტიკასთან დაკავშირებულ საერთო ინტერესის საკითხებს. ეს შეიძლება იყოს სამმხრივი პროცესი, სადაც მთავრობა იქნება დიალოგის ოფიციალური მხარე, ან ორმხრივი, სადაც მონაწილეები იქნებიან მხოლოდ მომუშავეთა წარმომადგენლები და ხელმძღვანელობა (ან პროფკავშირები და დამსაქმებელთა ორგანიზაციები).
Social protection სოციალური დაცვა	ღონისძიებების ერთობლიობა, რომელიც მიმართულია მთელი სასიცოცხლო ციკლის მანძილზე ადამიანთა უთანასწორობის, სიღარიბისა და დაუცველობის შემცირებასა და პრევენციაზე.
Soil ნიადაგი	დედამიწის ქერქის ზედა ფენა, რომელიც მდებარეობს ქვენაფენ ქანებსა და ზედაპირს შორის. ნიადაგი შედგება მინერალური ნაწილაკების, ორგანული ნივთიერებების, წყლის, ჰაერისა და ცოცხალი ორგანიზმებისაგან ²⁵ .
Soil degradation ნიადაგის დეგრადირება	ნიადაგის შესაძლებლობის დაქვეითება ეკოსისტემის საქონლისა და მომსახურების იმგვარად მიწოდების თვალსაზრისით, როგორც ამას დაინტერესებული მხარეები ისურვებდნენ.
Soil sealing ნიადაგის ბლოკირება/დალუქვა/ჭერმეტიზაცია	ნიადაგის იმგვარად დაფარვა, რომ დაფარული ტერიტორია გაუმტარი/შეუღწევი იყოს (მაგ., გზა). ამგვარმა შეუღწევადობამ შესაძლოა გამოიწვიოს ეკოლოგიური ზემოქმედება , როგორც ეს აღწერილია კომისიის (EU) 2018/2026 რეგულაციაში ²⁶ .
Specific loads კუთრი დატვირთვა	გამოყოფილი დამზინძურებელი ნივთიერების მასა, რომელიც მოდის წარმოებული პროდუქტის მასაზე. კუთრი დატვირთვის კოეფიციენტი იძლევა ტექნიკური მოწყობილობების გარემოსდაცვითი მაჩვენებლების შედარების საშუალებას, მათი წარმოების განსხვავებული მოცულობის მიუხედავად და მასზე გავლენას არ

24. ევროპარლამენტისა და საბჭოს 2021 წლის 29 აპრილის რეგულაცია (EU) 2021/697 - Regulation (EU) 2021/697 of the European Parliament and of the Council of 29 April 2021 establishing the European Defence Fund and repealing Regulation (EU) 2018/1092 (OJ L 170, 12.5.2021, p. 149).

25. 2010/75/EU დირექტივის 3(21) მუხლი - Article 3(21) of Directive 2010/75/EU on industrial emissions (IED).

26. 2018 წლის 19 დეკემბრის კომისიის რეგულაცია (EU) 2018/2026 - Commission Regulation (EU) 2018/2026 of 19 December 2018 amending Annex IV to Regulation (EC) No 1221/2009 of the European Parliament and of the Council on the voluntary participation by organisations in a Community eco-management and audit scheme (EMAS) (OJ L 325, 20.12.2018, p. 18).

	ახდენს შერევა ან გაზავება ²⁷ .
Stakeholder engagement დაინტერესებულ მხარეებთან ურთიერთქმედება	საწარმოსა და დაინტერესებულ მხარეებს შორის ურთიერთქმედებისა და დიალოგის უწყვეტი პროცესი, რაც საწარმოს საშუალებას აძლევს, მოისმინოს და გაიგოს მათი ინტერესები და პრობლემები და რეაგირება მოახდინოს მათზე.
Stakeholders დაინტერესებული მხარეები	ისინი, ვისაც შეუძლია საწარმოზე ზეგავლენის მოხდენა ან ვისზეც საწარმო ახდენს ზეგავლენას. არსებობს დაინტერესებული მხარეების ორი ჯგუფი: i. ზემოქმედების ქვეშ მყოფი დაინტერესებული მხარეები : პირები ან ჯგუფები, რომელთა ინტერესებზე უარყოფით ან დადებით ზემოქმედებას ახდენს (ან შეიძლება მოახდინოს) საწარმოს საქმიანობა და მისი პირდაპირი და არაპირდაპირი საქმიანი ურთიერთობები ღირებულებათა ჯაჭვის ფარგლებში; და ii. მდგრადობის ანგარიშგების მომხმარებლები : საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების ძირითადი მომხმარებლები (არსებული ან პოტენციური ინვესტორები, გამსესხებლები ან სხვა კრედიტორები, მათ შორის აქტივების მმართველები, საკრედიტო დაწესებულებები, სადაზღვევო კომპანიები), ასევე სხვა მომხმარებლები , მათ შორის საწარმოს ბიზნესპარტნიორები, პროფკავშირები ან პარტნიორები სოციალურ საკითხებში, სამოქალაქო საზოგადოება და არასამთავრობო ორგანიზაციები, მთავრობები, ანალიტიკოსები და აკადემიური წრეების წარმომადგენლები. ზოგიერთი დაინტერესებული მხარე შეიძლება მიეკუთვნებოდეს ორივე ჯგუფს.
Substances ნივთიერებები	ნებისმიერი ქიმიური ელემენტი და მისი ნაერთი, შემდეგი ნივთიერებების გარდა: i. რადიოაქტიური ნივთიერებები , როგორც ეს განსაზღვრულია ევროპული საბჭოს დირექტივის 96/29/ევრატომი ²⁸ 1-ელი მუხლით, რომელიც ადგენს მაიონებელი გამოსხივებისგან წარმოქმნილი საფრთხისგან მომუშავეებისა და ფართო საზოგადოების ჯანმრთელობის დაცვის მიზნით შექმნილ უსაფრთხოების ძირითად სტანდარტებს; ii. გენმოდიფიცირებული მიკროორგანიზმები, როგორც ეს განსაზღვრულია გენმოდიფიცირებული მიკროორგანიზმების შეზღუდული გამოყენების თაობაზე ევროპარლამენტისა და საბჭოს 2009/41/EC დირექტივის 2(ბ) მუხლით ²⁹ ; iii. გენმოდიფიცირებული ორგანიზმები, როგორც ეს განსაზღვრულია გენმოდიფიცირებული ორგანიზმების გარემოში განზრახ გაშვების თაობაზე ევროპარლამენტისა და საბჭოს 2001/18/EC დირექტივის ³⁰ მე-2 მუხლის მე-2 პუნქტით. ³¹
Substances of concern სახიფათო ნივთიერებები	ნივთიერება , რომელიც:

27. კომისიის 2012 წლის 10 თებერვლის განმარტებული გადაწყვეტილება - Commission Implementing Decision of 10 February 2012 laying down rules concerning guidance on the collection of data and on the drawing up of BAT reference documents and on their quality, assurance referred to in Directive 2010/75/EU of the European Parliament and of the Council on industrial emissions.
28. ევროპული საბჭოს 1996 წლის 13 მაისის დირექტივა 96/29/Euratom - Council Directive 96/29/Euratom of 13 May 1996 laying down basic safety standards for the protection of the health of workers and the general public against the dangers arising from ionizing radiation (OJ L 159, 29.6.1996, p. 1).
29. ევროპარლამენტისა და 2009 წლის 6 მაისის დირექტივა 2009/41/EC - Directive 2009/41/EC of the European Parliament and of the Council of 6 May 2009 on the contained use of genetically modified micro-organisms (OJ L 125, 21.5.2009, p. 75).
30. ევროპარლამენტისა და საბჭოს 2001 წლის 12 მარტის დირექტივა 2001/18/EC - Directive 2001/18/EC of the European Parliament and of the Council of 12 March 2001 on the deliberate release into the environment of genetically modified organisms and repealing Council Directive 90/220/EEC (OJ L 106, 17.4.2001, p. 1).
31. დირექტივა 2010/75/EU - Directive 2010/75/EU on industrial emissions (IED).

	<p>i. აკმაყოფილებს 57-ე მუხლით დადგენილ კრიტერიუმებს და იდენტიფიცირებულია ევროპარლამენტისა და საბჭოს (EC) № 1907/2006 რეგულაციის 59(1) მუხლის შესაბამისად³²;</p> <p>ii. ევროპარლამენტისა და საბჭოს (EC) № 1272/2008 რეგულაციის³³ VI დანართის მე-3 ნაწილში კლასიფიცირებულია ნივთიერებების სამიშროების ერთ-ერთ ქვემოთ მოცემულ კლასში ან კატეგორიაში:</p> <ul style="list-style-type: none"> - კანცეროგენურობის უნარის მქონე კატეგორიები 1 და 2; - ჩანასახოვანი უჯრედის მუტაგენურობის უნარის მქონე კატეგორიები 1 და 2; - რეპროდუქციული ტოქსიკურობის მქონე კატეგორიები 1 და 2; - ადამიანის ჯანმრთელობის ენდოკრინული დარღვევების გამომწვევი; - გარემოსთვის ენდოკრინული ზიანის გამომწვევი; - მდგრადი, მობილური და ტოქსიკური ან ძალიან მდგრადი, ძალიან მობილური მახასიათებლების მქონე; - მდგრადი, ბიოაკუმულაციური და ტოქსიკური ან ძალიან მდგრადი, ძალიან ბიოაკუმულაციური მახასიათებლების მქონე; - რესპირატორული სენსიბილიზაციის გამომწვევი კატეგორია 1; - კანის სენსიბილიზაციის გამომწვევი კატეგორია 1; - წყლის გარემოსთვის ქრონიკული საფრთხის გამომწვევი კატეგორიები 1-4; - ოზონის შრისთვის სახიფათო; - კონკრეტული სამიზნე ორგანოს ტოქსიკურობის გამომწვევი, განმეორებადი ზემოქმედების კატეგორიები 1 და 2; - კონკრეტული სამიზნე ორგანოს ტოქსიკურობის გამომწვევი ერთჯერადი ზემოქმედების კატეგორიები 1 და 2; ან <p>iii. უარყოფითად მოქმედებს იმ პროდუქტების მასალების ხელახალ გამოყენებასა და რეციკლირებაზე, რომლის შემადგენლობაშიც შედის, როგორც ეს დადგენილია ევროკავშირის შესაბამისი მოთხოვნებით, რომლებიც ეხება კონკრეტული პროდუქტების ეკოდიზაინს/ეკომოდელს.</p>
<p>Substances of Very High Concern (SVHCs)</p> <p>განსაკუთრებით სახიფათო ნივთიერებები</p>	<p><i>ნივთიერებები</i>, რომლებიც აკმაყოფილებს (EC) No 1907/2006 (REACH) რეგულაციის 57-ე მუხლით დადგენილ კრიტერიუმებს და იდენტიფიცირებულია ამავე რეგულაციის 59(1) მუხლის შესაბამისად.</p>
<p>Supplier</p> <p>მომწოდებელი</p>	<p>სუბიექტი ორგანიზაციის აღმავალ ღირებულებათა ჯაჭვში (ე.ი. ორგანიზაციის <i>მიწოდების ჯაჭვში</i>), რომელიც უზრუნველყოფს ისეთი პროდუქციისა და მომსახურების მიწოდებას, რომელსაც ორგანიზაცია საკუთარი პროდუქციისა და მომსახურების შესაქმნელად იყენებს. მომწოდებელს ორგანიზაციასთან შეიძლება ჰქონდეს როგორც პირდაპირი (ხშირად ეწოდება პირველი დონის <i>მომწოდებელი</i>), ისე არაპირდაპირი საქმიანი ურთიერთობა.</p>
<p>Supply chain</p> <p>მიწოდების ჯაჭვი</p>	<p>საქმიანობებისა და პროცესების სრული სპექტრი, რომლებსაც ახორციელებენ საწარმოს აღმავალი ჯაჭვის ის სუბიექტები, რომლებიც ისეთ პროდუქციასა და მომსახურებას აწვდიან საწარმოს, რომლებსაც იგი საკუთარი პროდუქციისა და</p>

32. ევროპარლამენტისა და საბჭოს 2006 წლის 18 დეკემბრის რეგულაცია (EC) No 1907/2006 - Regulation (EC) No 1907/2006 of the European Parliament and of the Council of 18 December 2006 concerning the Registration, Evaluation, Authorisation and Restriction of Chemicals (REACH), establishing a European Chemicals Agency, amending Directive 1999/45/EC and repealing Council Regulation (EEC) No 793/93 and Commission Regulation (EC) No 1488/94 as well as Council Directive 76/769/EEC and Commission Directives 91/155/EEC, 93/67/EEC, 93/105/EC and 2000/21/EC (OJ L 396, 30.12.2006, p. 1)

33. ევროპარლამენტისა და საბჭოს 2008 წლის 16 დეკემბრის რეგულაცია (EC) No 1272/2008 - Regulation (EC) No 1272/2008 of the European Parliament and of the Council of 16 December 2008 on classification, labelling and packaging of substances and mixtures, amending and repealing Directives 67/548/EEC and 1999/45/EC, and amending Regulation (EC) No 1907/2006 (OJ L 353, 31.12.2008, p. 1).

	მომსახურების შესაქმნელად იყენებს. იგი მოიცავს ადმინისტრაციული ხარჯების იმ სუბიექტებს, რომლებთანაც საწარმოს პირდაპირი საქმიანი ურთიერთობა აქვს (ხშირად ეწოდება პირველი დონის <i>მომწოდებელი</i>), ასევე იმ სუბიექტებს, რომლებთანაც საწარმოს არაპირდაპირი საქმიანი ურთიერთობა აქვს.
Surface water ზედაპირული წყალი	შიდა წყლები, გარდა <i>მიწისქვეშა წყლებისა</i> ; გარდამავალი წყლები და სანაპირო წყლები; ქიმიური შემადგენლობის გათვალისწინებით ზოგჯერ მოიცავს ტერიტორიულ წყლებსაც ³⁴ .
Sustainability matters მდგრადობის საკითხები	გარემოსდაცვითი, სოციალური საკითხები და ადამიანის უფლებები, ასევე მმართველობითი ფაქტორები, მათ შორის მდგრადობასთან დაკავშირებული ფაქტორები, რომლებიც განსაზღვრულია ევროპარლამენტისა და საბჭოს (EU) 2019/2088 რეგულაციის მე-2 მუხლის, 24-ე პუნქტით ³⁵ .
Sustainability statement მდგრადობის ანგარიშგება	საწარმოს მმართველობის ანგარიშგების სპეციალური ნაწილი, სადაც წარმოდგენილია ინფორმაცია მდგრადობის საკითხებზე, რომელიც მომზადებულია ევროპარლამენტისა და საბჭოს 2013/34/EU დირექტივისა ³⁶ და მდგრადობის ანგარიშგების სტანდარტების შესაბამისად.
Sustainability-related opportunities მდგრადობასთან დაკავშირებული შესაძლებლობები	გაურკვეველი გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი მოვლენები ან პირობები, რომლებმაც, წარმოქმნის შემთხვევაში, შეიძლება პოტენციურად არსებითი დადებითი გავლენა იქონიოს საწარმოს <i>ბიზნესმოდელზე</i> , ან საწარმოს მიზნებისა და <i>სამიზნე მაჩვენებლების</i> მიღწევის შესაძლებლობისა და ღირებულების შექმნის სტრატეგიაზე და, მაშასადამე, შეიძლება გავლენა მოახდინოს <i>მდგრადობის საკითხებთან</i> დაკავშირებულ საწარმოსა და მისი ბიზნესპარტნიორების გადაწყვეტილებებზე. ნებისმიერი სხვა <i>შესაძლებლობის</i> მსგავსად, <i>მდგრადობასთან დაკავშირებული შესაძლებლობებიც</i> იზომება მათი ზემოქმედების სიდიდისა და წარმოქმნის ალბათობის კომბინაციით.
Sustainability-related risks მდგრადობასთან დაკავშირებული რისკები	გაურკვეველი გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი მოვლენები და პირობები, რომლებმაც, წარმოქმნის შემთხვევაში, შეიძლება პოტენციურად არსებითი უარყოფითი გავლენა იქონიოს საწარმოს <i>ბიზნესმოდელზე</i> , ან საწარმოს მიზნებისა და <i>სამიზნე მაჩვენებლების</i> მიღწევის შესაძლებლობისა და ღირებულების შექმნის სტრატეგიაზე და, მაშასადამე, შეიძლება გავლენა მოახდინოს <i>მდგრადობის საკითხებთან</i> დაკავშირებულ საწარმოსა და მისი ბიზნესპარტნიორების გადაწყვეტილებებზე. ნებისმიერი სხვა <i>რისკის</i> მსგავსად, <i>მდგრადობასთან დაკავშირებული რისკებიც</i> იზომება მათი ზემოქმედების სიდიდისა და მატერიალურობის/წარმოქმნის ალბათობის კომბინაციით.
Sustainability-related impacts მდგრადობასთან დაკავშირებული ზემოქმედება	გავლენა, რომელსაც საწარმო, თავისი საქმიანობისა და <i>საქმიანი ურთიერთობების</i> შედეგად, ახდენს ან შეიძლება მოახდინოს გარემოსა და ადამიანებზე, მათ შორის ადამიანის უფლებებზე. <i>ზემოქმედება</i> შეიძლება იყოს ფაქტობრივი ან პოტენციური, უარყოფითი ან დადებითი, მოკლევადიანი, საშუალოვადიანი ან გრძელვადიანი, გამიზნული ან უნებლიე, შექცევადი ან შეუქცევადი. <i>ზემოქმედება</i> მიუთითებს მდგრად განვითარებაში საწარმოს უარყოფით ან დადებით წვლილზე.

34. ევროპარლამენტისა და საბჭოს 2000 წლის 23 ოქტომბრის დირექტივა 2000/60/EC - Directive 2000/60/EC of the European Parliament and of the Council of 23 October 2000 establishing a framework for Community action in the field of water policy (Water Framework Directive).

35. რეგულაცია (EU) 2019/2088 – Regulation (EU) 2019/2088 on sustainability-related disclosures in the financial services sector.

36. ევროპარლამენტისა და საბჭოს 2013 წლის 26 ივნისის დირექტივა 2013/34/EU - Directive 2013/34/EU of the European Parliament and of the Council of 26 June 2013 on the annual financial statements, consolidated financial statements and related reports of certain types of undertakings, amending Directive 2006/43/EC of the European Parliament and of the Council and repealing Council Directives 78/660/EEC and 83/349/EEC (OJ L 182, 29.6.2013, p. 19).

<p>Systemic risks</p> <p>სისტემური რისკები</p>	<p><i>რისკები</i>, რომლებიც წარმოიშობა მთელი სისტემის და არა მხოლოდ მისი რომელიმე ნაწილის მოშლის შედეგად. სისტემურ რისკებს ახასიათებს იმგვარი მცირე გარდატეხის მომენტები, რომლებიც არაპირდაპირ ერწყმიან ერთმანეთს და ფიზიკური და <i>გარდამავალი რისკების</i> კასკადური ურთიერთქმედების შედეგად იწვევენ დიდი მასშტაბის დაზიანებას (გავრცელება), რადგან ერთი დანაკარგი იწვევს სხვა დანაკარგების ჯაჭვს, რის შედეგადაც სისტემა შოკის შემდეგ კარგავს წონასწორობის აღდგენის უნარს. ამის მაგალითია ისეთი ძირითადი ტიპის სახეობის დაკარგვა, როგორცაა ზღვის წავი, რომელსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს <i>ეკოსისტემის</i> თანასაზოგადოების სტრუქტურაში. მაგალითად, 1900-იან წლებში ზღვის წავზე ნადირობამ იგი გადაშენების პირას მიიყვანა, რამაც ზიანი მიაყენა სანაპირო <i>ეკოსისტემებს</i> და ბიომასის წარმოქმნა მნიშვნელოვნად შემცირდა.</p>
<p>Targets</p> <p>სამიზნე მაჩვენებლები</p>	<p>საწარმოს არსებით <i>ზემოქმედებასთან, რისკებსა და შესაძლებლობებთან</i> დაკავშირებული გაზომვადი, შედეგზე ორიენტირებული და დროით შეზღუდული მიზნები, რომელთა მიღწევასაც საწარმო ისახავს მიზნად. სამიზნე მაჩვენებლები შესაძლოა საწარმოს მიერ ნებაყოფლობით იყოს დადგენილი, ან გამომდინარეობდეს საწარმოსთან დაკავშირებული სამართლებრივი მოთხოვნებიდან.</p>
<p>Threatened species</p> <p>საფრთხის ქვეშ მყოფი სახეობები</p>	<p>გადაშენების პირას მყოფი სახეობები, მათ შორის ფლორა და ფაუნა, რომლებიც შეტანილია ევროპის წითელ ნუსხაში ან ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის (IUCN) წითელ ნუსხაში, როგორც მითითებულია კომისიის დელეგირებული რეგულაცია (EU) 2021/2139-ის II დანართის მე-7 განყოფილებაში.</p>
<p>Training</p> <p>ტრენინგი</p>	<p>საწარმოს მიერ განხორციელებული ინიციატივა, რომლის მიზანია <i>საკუთარი მომუშავეების</i> უნარებისა და ცოდნის შენარჩუნება ან/და გაუმჯობესება. იგი შეიძლება მოიცავდეს სხვადასხვა მეთოდოლოგიას, როგორცაა, მაგალითად ადგილზე სწავლება და ონლაინსწავლება.</p>
<p>Transition plan</p> <p>გარდამავალი გეგმა</p>	<p>საწარმოს მიერ დამტკიცებული, მის სტრატეგიულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებული კონკრეტული ტიპის სამოქმედო გეგმა, რომელიც:</p> <ul style="list-style-type: none"> i. ეხება სახელმწიფო პოლიტიკის მიზანს; ან/და ii. წარმოადგენს მოცემული საწარმოსთვის სპეციალურად შემუშავებულ სამოქმედო გეგმას, რომელიც მოიცავს <i>სამიზნე მაჩვენებლებისა და ქმედებების</i> სტრუქტურირებულ ნაკრებს, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს რომელიმე ძირითად სტრატეგიულ გადაწყვეტილებასთან, <i>ბიზნესმოდელის</i> მნიშვნელოვან ცვლილებასთან, ან/და განსაკუთრებით მნიშვნელოვან <i>ქმედებებსა</i> და გამოყოფილ რესურსებთან.
<p>Transition plan for climate change mitigation</p> <p>კლიმატის ცვლილების შერბილების გარდამავალი გეგმა</p>	<p>საწარმოს საერთო სტრატეგიის ასპექტი, რომელიც ადგენს საწარმოს <i>სამიზნე მაჩვენებლები, ქმედებებსა</i> და რესურსებს უფრო დაბალნახშირბადიან ეკონომიკაზე საწარმოს გადასვლის მიზნებისთვის, მათ შორის ისეთ <i>ქმედებებს</i>, როგორცაა საწარმოს <i>სათბურის აირების ემისიების</i> შემცირება გლობალური დათბობის ზრდის 1.5°C-მდე შეზღუდვისა და კლიმატ-ნეიტრალობის მიღწევის მიზნის გათვალისწინებით.</p>
<p>Transition risks</p> <p>გარდამავალი რისკები</p>	<p><i>რისკები</i>, რომლებიც წარმოიქმნება ორგანიზაციის ან ინვესტორის სტრატეგიისა და მართვის მიდგომების შეუსაბამობით იმ ცვალებად მარეგულირებელ, პოლიტიკურ ან სოციალურ გარემოსთან, სადაც ისინი საქმიანობენ. <i>გარდამავალი რისკების</i> წარმოქმნა ან შეცვლა შეუძლია ნებისმიერ ისეთ მოვლენას, რომელიც მიმართულია კლიმატის ან ბუნებისთვის ზიანის მიყენების შეწყვეტის ან შეფერხებისკენ (როგორცაა, მაგალითად მთავრობის მიერ გატარებული ზომები, ტექნოლოგიური მიღწევები, ბაზრის ცვლილებები, სასამართლო დავები, <i>მომხმარებლის</i> გემოვნება).</p>

<p>Users მომხმარებლები</p>	<p><i>მდგრადობის ანგარიშგების მომხმარებლები</i> უმთავრესად არიან საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების ძირითადი მომხმარებლები (არსებული ან პოტენციური ინვესტორები, გამსესხებლები ან სხვა კრედიტორები, მათ შორის აქტივების მმართველები, საკრედიტო დაწესებულებები, სადაზღვევო კომპანიები), ასევე სხვა <i>მომხმარებლები</i>, მათ შორის საწარმოს ბიზნესპარტნიორები, პროფკავშირები ან პარტნიორები სოციალურ საკითხებში, სამოქალაქო საზოგადოება და არასამთავრობო ორგანიზაციები, მთავრობები, ანალიტიკოსები და აკადემიური წრეების წარმომადგენლები.</p>
<p>Value chain ღირებულებათა ჯაჭვი</p>	<p>საქმიანობების, რესურსებისა და ურთიერთობების სრული სპექტრი, რომელიც დაკავშირებულია საწარმოს <i>ბიზნესმოდელთან</i> და საოპერაციო გარემოსთან, სადაც ის საქმიანობს.</p> <p><i>ღირებულებათა ჯაჭვი</i> მოიცავს ნებისმიერ საქმიანობას, რესურსსა და ურთიერთობას, რომელსაც საწარმო ეყრდნობა და იყენებს პროდუქტებისა და მომსახურების შესაქმნელად, მათ შექმნაზე მუშაობის დაწყებიდან მათ მიწოდებამდე, მოხმარებამდე და სასიცოცხლო ციკლის დასრულებამდე. ამგვარი საქმიანობები, რესურსები და ურთიერთობები მოიცავს:</p> <ol style="list-style-type: none"> i. იმ საქმიანობებს, რესურსებსა და ურთიერთობებს, რომლებიც გამოიყენება საწარმოს საკუთარ ოპერაციებში, როგორცაა, მაგალითად ადამიანური რესურსები; ii. იმ საქმიანობებს, რესურსებსა და ურთიერთობებს, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს მიწოდებისა და მარკეტინგის პროცესებთან და დისტრიბუციის არხებთან, როგორცაა მასალებისა და მომსახურების მომწოდებლების მოძიება, ასევე პროდუქციისა და მომსახურების გაყიდვა და მიწოდება; და iii. დაფინანსების, გეოგრაფიულ, გეოპოლიტიკურ და მარეგულირებელ გარემოს, სადაც საწარმო საქმიანობს. <p><i>ღირებულებათა ჯაჭვი</i> მოიცავს საწარმოს როგორც აღმავალი, ისე დაღმავალი ჯაჭვის <i>მონაწილეებს</i>. საწარმოს აღმავალი ჯაჭვის <i>მონაწილეები</i> (მაგ., <i>მომწოდებლები</i>) საწარმოს უზრუნველყოფენ ისეთი პროდუქციითა და მომსახურებით, რომელსაც იგი საკუთარი პროდუქციისა და მომსახურების შექმნისას იყენებს. საწარმოს დაღმავალი ჯაჭვის მონაწილეები არიან ის სუბიექტები (მაგ., დისტრიბუტორები, მომხმარებლები), რომლებიც საწარმოსგან იღებენ პროდუქციასა და მომსახურებას. მდგრადობის ანგარიშგების სტანდარტებში ტერმინი „<i>ღირებულებათა ჯაჭვი</i>“ გამოიყენება მხოლოდით რიცხვში, თუმცა მიიჩნევა, რომ შეიძლება საწარმოს ერთზე მეტი <i>ღირებულებათა ჯაჭვი</i> ჰქონდეს.</p>
<p>Value chain worker ღირებულებათა ჯაჭვში მომუშავე</p>	<p>ნებისმიერი პირი, რომელიც სამუშაოს ასრულებს საწარმოს <i>ღირებულებათა ჯაჭვში</i>, საწარმოსთან რაიმე სახელშეკრულებო ურთიერთობის არსებობის ან ამგვარი ურთიერთობის ხასიათის მიუხედავად. ევროპის მდგრადობის ანგარიშგების სტანდარტების (ESRS) თანახმად, <i>ღირებულებათა ჯაჭვში მომუშავე პირები</i> მოიცავს საწარმოს აღმავალ და დაღმავალ <i>ღირებულებათა ჯაჭვში</i> მონაწილე ყველა პირს, რომელზეც საწარმო არსებითად ზემოქმედებს ან შეუძლია მოახდინოს არსებითი ზემოქმედება. ეს მოიცავს ნებისმიერ <i>ზემოქმედებას</i>, რომელიც უკავშირდება თავად საწარმოს ოპერაციებსა და <i>ღირებულებათა ჯაჭვს</i>, მათ შორის მის პროდუქციასა და მომსახურებას, ასევე <i>საქმიან ურთიერთობებს</i>. ღირებულებათა ჯაჭვში მომუშავე პირის ცნება მოიცავს ასევე საწარმოს ღირებულებათა ჯაჭვში მონაწილე ნებისმიერ პირს, რომელიც არ მიეკუთვნება საწარმოს „<i>საკუთარ სამუშაო ძალას</i>“ („<i>საკუთარი სამუშაო ძალა</i>“ მოიცავს იმ ადამიანებს, რომლებიც შრომით ურთიერთობაში არიან საწარმოსთან („<i>დასაქმებულები</i>“) და საწარმოში <i>შტატგარეშე დასაქმებულ პირებს</i>, რომლებიც არიან ან ინდივიდუალური კონტრაქტორები, რომლებიც საწარმოსთვის ასრულებენ სამუშაოს („თვითდასაქმებული ადამიანები“), ან ადამიანები, რომელთა კანდიდატურის წარდგენა მოცემულ სამუშაოზე განხორციელდა „დასაქმების საქმიანობით“ დაკავებული სუბიექტების მიერ (NACE Code N78)).</p>

Wage ხელფასი	ბრუტო <i>ხელფასი</i> , რომელიც არ მოიცავს ცვლად კომპონენტებს, როგორცაა ზეგა-ნაკვეთური ნამუშევარი საათების ანაზღაურება და წამახალისებელი <i>ანაზღაურება</i> , ასევე არაგარანტირებულ დანამატებს.
Waste ნარჩენები	ნებისმიერი <i>ნივთიერება</i> ან საგანი, რომელსაც მფლობელი იშორებს, ან განზრახული აქვს ან ვალდებულია, რომ მოიშოროს ³⁷ .
Waste hierarchy ნარჩენების იერარქია	<i>ნარჩენების</i> წარმოქმნის პრევენციისა და მართვის თანმიმდევრობა, პრიორიტეტების მიხედვით ³⁸ : i. პრევენცია; ii. ხელახალი გამოყენებისთვის მომზადება; iii. <i>რეციკლირება</i> ; iv. სხვა სახის აღდგენა (მაგ., ენერჯის აღდგენა); და v. განთავსება.
Waste management ნარჩენების მართვა	<i>ნარჩენების</i> შეგროვება, ტრანსპორტირება, აღდგენა და განთავსება, მათ შორის ამგვარი პროცესების ზედამხედველობა და ნარჩენების განთავსების <i>ადგილების</i> შემდგომი მოვლა, მათ შორის <i>ქმედებები</i> , რომელსაც საწარმო ახორციელებს დილერის ან ბროკერის როლში ³⁹ .
Wastewater ჩამდინარე წყალი (წყლები)	წყალი, რომელიც, მისი ხარისხის, რაოდენობის ან წარმოქმნის დროის გამო უკვე აღარ გამოდგება იმ მიზნისთვის, რომლისთვისაც გამოიყენებოდა ან რომლის მისაღწევადაც წარმოიქმნა. ერთი მომხმარებლის მიერ წარმოქმნილი <i>ჩამდინარე წყალი</i> შეიძლება სხვა მომხმარებლისთვის პოტენციური წყარო იყოს. გაგრილების მიზნით გამოყენებული წყალი არ განეკუთვნება <i>ჩამდინარე წყლების</i> კატეგორიას.
Water consumption წყლის მოხმარება	წყლის რაოდენობა, რომელიც ჩაედინება საწარმოს (ან ობიექტის) საზღვრებში და არ ხდება მისი ბუნებრივ გარემოში დაბრუნება ან მესამე მხარისთვის გადაცემა საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში.
Water discharge წყალჩაშვება	დამაბინძურებელი ჩამდინარე წყლები და სხვა წყალი, რომელიც საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ტოვებს ორგანიზაციის საზღვრებს და მიედინება ზედაპირულ წყლებში, <i>მიწისქვეშა წყლებში</i> , ან მესამე მხარესთან.
Water intensity წყლის მოხმარების ინტენსივობა	მაჩვენებელი, რომელიც გვიჩვენებს მოხმარებული წყლის მოცულობის თანაფარდობას საწარმოს საქმიანობის შედეგის ერთეულთან (პროდუქტები, გაყიდვები, ა.შ.) მიმართებით.
Water (recycled and reused) წყალი (რეციკლირებული და ხელახლა გამოყენებული)	წყალი და <i>ჩამდინარე წყლები</i> (გაწმენდილი ან გაუწმენდელი), რომელიც საწარმოს ან საზიარო ობიექტის საზღვრების დატოვებამდე გამოყენებული იყო არაერთხელ ისე, რომ წყალზე მოთხოვნა შემცირდა. ეს მოიცავს წყლის მოხმარებას ერთსა და იმავე პროცესში (რეციკლირება) ან ერთი და იმავე ობიექტის (რომელიც ეკუთვნის სხვა საწარმოებს ან სხვა საწარმოებთან საზიარო) სხვა პროცესში, ან იმავე საწარმოს სხვა ობიექტში (ხელახალი გამოყენება).
Water scarcity წყლის დეფიციტი	<i>მტკნარი წყლის</i> რესურსების მოცულობითი სიმრავლე ან მისი არარსებობა. წყლის დეფიციტი ადამიანების საქმიანობით არის გამოწვეული, იგი არის ადამიანის მიერ <i>წყლის მოხმარების</i> მოცულობის ფუნქცია მოცემულ ტერიტორიაზე არსებული წყლის რესურსების მოცულობასთან მიმართებით. ამგვარად, გვალვიანი რეგიონი,

37. „ნარჩენების შესახებ“ 2008/98/EC დირექტივის 3(1) მუხლი - Article 3(1) of Directive 2008/98/EC on waste.

38. „ნარჩენების შესახებ“ 2008/98/EC დირექტივის 4(1) მუხლი - Directive 2008/98/EC on waste.

39. „ნარჩენების შესახებ“ 2008/98/EC დირექტივის 3(9) მუხლი - Directive 2008/98/EC on waste.

	<p>სადაც ბუნებრივად ძალიან ცოტა წყალია და არ ხდება ადამიანის მიერ წყლის მოხმარება, მიიჩნევა არა წყლის დეფიციტის მქონე რეგიონად, არამედ არიდულ რეგიონად. წყლის დეფიციტი არის ფიზიკური, ობიექტური რეალობა, რომლის გაზომვა შესაძლებელია თანმიმდევრულად სხვადასხვა რეგიონისა და პერიოდის მიხედვით. წყლის დეფიციტი ასახავს მტკნარი წყლების ფიზიკურ სიმრავლეს და არა იმას, ეს წყალი გამოსაყენებლად ვარგისია თუ არა. მაგალითად, რეგიონი შეიძლება მდიდარი იყოს წყლის რესურსებით (და, მაშასადამე, არ მიიჩნეოდეს, რომ იქ წყლის დეფიციტია), მაგრამ წყალი ისე ძლიერად იყოს დაბინძურებული, რომ არსებული მარაგი უვარგისი იყოს ადამიანის მიერ ან ეკოლოგიური გამოყენებისთვის.</p>
<p>Water withdrawal წყალაღება</p>	<p>საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში საწარმოს საზღვრებში ნებისმიერი წყაროდან ნებისმიერი მიზნით გამოყენებისთვის ჩადინებული წყლის მთლიანი ოდენობა.</p>
<p>Workers' representatives მომუშავეთა წარმომადგენლები</p>	<p>მომუშავეთა წარმომადგენლებში მოიაზრებიან:</p> <ol style="list-style-type: none"> პროფკავშირების წარმომადგენლები, კერძოდ, პროფკავშირების ან ანალოგიური გაერთიანებების წევრების მიერ ეროვნული კანონმდებლობისა და პრაქტიკის შესაბამისად დანიშნული ან არჩეული წარმომადგენლები; სათანადო წესით არჩეული წარმომადგენლები, კერძოდ, წარმომადგენლები, რომლებსაც თავისუფალი არჩევნების საფუძველზე ირჩევენ ისეთ ორგანიზაციაში მომუშავეები, რომელზეც არ ვრცელდება დამსაქმებლის ძალაუფლება ან კონტროლი ეროვნული კანონმდებლობის ან კოლექტიური შეთანხმებების დებულებების შესაბამისად, მათი ფუნქციები არ მოიცავს ისეთ საქმიანობას, რომელიც მოცემულ ქვეყანაში პროფკავშირების ექსკლუზიურ პრეროგატივას წარმოადგენს და ამავე დროს მათი არსებობა ზიანს არ აყენებს შესაბამისი პროფკავშირების ან მათი წარმომადგენლების პოზიციას.
<p>Work-life balance სამუშაოსა და პირად ცხოვრებას შორის ბალანსი</p>	<p>წონასწორობის დამაკმაყოფილებელი მდგომარეობა პიროვნების სამუშაოსა და პირად ცხოვრებას შორის. ცნება „სამუშაოსა და პირადი ცხოვრების ბალანსი“ უფრო ფართო გაგებით, მოიცავს არა მარტო სამუშაოსა და პირად ცხოვრებას შორის ბალანსს ოჯახური ან ზრუნვის პასუხისმგებლობის თვალსაზრისით, არამედ დროის განაწილებასაც სამუშაოზე და, ოჯახური პასუხისმგებლობების გარდა, პირადი ცხოვრების სხვა ასპექტებზე .</p>
<p>Work-related hazards სამუშაოსთან დაკავშირებული საფრთხეები</p>	<p>სამუშაოსთან დაკავშირებული საფრთხეები შეიძლება იყოს:</p> <ol style="list-style-type: none"> ფიზიკური (მაგ., რადიაცია, ექსტრემალური ტემპერატურა, მუდმივი ძლიერი ხმაური, იატაკზე დაღვრილი სითხით გამოწვეული და სხვა ტიპის დაცემის საფრთხეები, დანადგარები მეთვალყურეობის გარეშე, გაუმართავი ელექტრომოწყობილობები); ერგონომიული (მაგ., არასწორად მორგებული სამუშაო ადგილები და სკამები, უხერხული მოძრაობები, ვიბრაცია); ქიმიური (მაგ., კარცენოგენების, მუტაგენების, რეპროტოქსიკური ნივთიერებების, გამხსნელების, მხუთავი აირის ან პესტიციდების ზემოქმედება); ბიოლოგიური (მაგ., სისხლის ან ბიოლოგიური სითხეების, სოკოების, ბაქტერიების ვირუსების ან მწერის ნაკბენების ზემოქმედება); ფსიქოსოციალური (მაგ., სიტყვიერი შეურაცხყოფა, შევიწროება, ძალადობა); სამუშაოს ორგანიზებასთან დაკავშირებული (მაგ., გადაჭარბებულად დატვირთული სამუშაო, ცვლებში მუშაობა, ხანგრძლივი სამუშაო საათები, ღამით მუშაობა, სამუშაო ადგილზე ძალადობა).
<p>Work-related incident სამუშაოსთან</p>	<p>შემთხვევა, რომელიც ხდება სამუშაოს მიზეზით ან მისი მიმდინარეობისას, რომელსაც შეეძლო გამოეწვია ან რომელმაც გამოიწვია ტრავმა ან ჯანმრთელობის გაუარესება. ინციდენტის გამომწვევი მიზეზი შეიძლება იყოს, მაგალითად, ელექტროგაყვანილობის პრობლემები, აფეთქება, ხანძარი, წყლის მოვარდნა, დანადგარის გადაბრუნება, გაჟონვა, ნიაღვარი, მსხვრევა, გასკდომა, ნაპრალების</p>

<p>დაკავშირებული ინციდენტი</p>	<p>გაჩენა, კონტროლის დაკარგვა, მოცურება, წაბორძიკება და დაცემა, სხეულის მოძრაობა დაჭიმვის გარეშე, სხეულის მოძრაობა დაჭიმვით, შოკი, შიში, სამუშაო ადგილზე ძალადობა ან შევიწროება (მაგ., სექსუალური შევიწროება).</p> <p>ინციდენტს, რომელიც იწვევს ტრავმას ან ჯანმრთელობის გაუარესებას ხშირად „უბედურ შემთხვევას“ უწოდებენ.</p> <p>ინციდენტს, რომელსაც პოტენციურად შეუძლია ტრავმის გამოწვევა ან ჯანმრთელობის გაუარესება, მაგრამ ასე არ მომხდარა, ხშირად უწოდებენ „სახიფათო ან სარისკო მდგომარეობას“.</p>
---------------------------------------	---